პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

10 იანვარი
სამშაბათი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტადტის
ქ., № 4. რედ[illegible]
ყოველ დღე [illegible]
[illegible] დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 1476, მდივნის
№ 16 საერთო №

№ 7 სამშაბათი, 10 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 10 იანვარი 1922 წ. № 7

მოუსავლობის შედეგებთან ბრძოლა

საქართველოს ზოგ მაზრებში წელს მოუსავლობა იყო. ჯერ გვალვამ, შემდეგ გაუთავებელმა წვიმებმა სიმინდი დალპო და მიწის მუშა ხელცარიელი დარჩა. შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე აჭარაში და სხვაგანაც შიმშილობის აჩრდილი სადაცაა გამოჩნდება და მოსახლეობის საგრძნობ ნაწილის ბინაზე დაისადგურებს.

იქ, სადაც მევენახეობას მისდევდენ და სადაც წელს მშვენიერი მოსავალი იყო ყურძნის და ღვინის, შედარებით ადვილი დასაძლევი იქნება სიმინდის და პურის მოუსავლობის შედეგები: გაცვლა გამოცვლის საშუალებით მიწის მუშა შესძლებს საკმაო ხორბლის შეძენას, აქ საჭიროა მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის წესების გამარტივება და გაადვილება.

ისარგებლებს მიწის მუშა კოოპერატივების აპარატით, თუ სახელდახელოთ შექმნილ დროებით ამხანაგობით—მას არ დასჭირდეს აქეთ-იქით სირბილი, ათეულ დაწესებულებების კარებზე კაკუნი. ადგილობრივი ორგანოები და რკინის გზის ადმინისტრაცია უნდა მზათ იყვნენ ყოველგვარი შეღავათი მისცენ მას.

მაგრამ მეტის მეტი სიძნელე გადაელობება იმ კუთხეების მშრომელთ, რომელთა სარჩო მხოლოდ სიმინდი იყო და რომელიც წელს არ მოუვიდა. ადგილობრივი ძალები უნდა ამუშავდენ ახლავე სათანადო ნამდვილ ზომების მისაღებათ, რათა შიმშილობამ არ მიიღოს ფართო ხასიათი. ურთიერთ დახმარებას, სესხებას ადგილობრივ რევკომების თავდებობით ფართო ხასიათი უნდა მიეცეს.

საბჭოთა სახელმწიფოც ვერ დარჩება უბრალო მაყურებლის როლში. მიუხედავათ სიღარიბისა, მიუხედავათ ნაკლებობისა სურსათ-სანოვაგის მხრით, რომაც აიძულა საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ერთი-ორათ და ერთი სამათ შემცირებაზე, ის მაინც დაეხმარება რითაც შეუძლია მოუსავლობით დაზარალებულ მაზრებს.

მაგრამ არც ეს იქნება საკმარისი. მარტო ამ ზომებით მომავალი შიმშილობის დაძლევა შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელი ხდება აქტიური თანაგრძნობა და დახმარება მთელი საქართველოს მოსახლეობისა. ყველა, ვისაც გული შესტკივა მშრომელი ხალხისადმი, რომელსაც თავს დაატყდა სტიქიური უბედურება, უნდა ჩაება ამ საქმეში და ტანჯვა-წვალების შემსუბუქებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს.

რაღა თქმა უნდა, ასეთი მონაწილეობა იქნება და უნდა იქნეს მხოლოდ ნებაყოფლობითი. ძალდატანებას აქ ადგილი არ უნდა ექნეს. ჩვენ უკვე გვაქვს ამ მხრივ გამოცდილება რუსეთის დამშეულთა მიმართ საქართველოს მოქალაქეებმა გამოიჩინეს საკმაო ყურადღება და თანაგრძნობა. ეს ყურადღება და თანაგრძნობა არ შესუსტდება, როცა მათი საგანი იქნება რაჭის, გორის ან აჭარის მიწის მუშა, პირიქით კიდეც გაცხოველდება.

საქართველოს რევოლიუც. კომიტეტს უკვე გადაწყვეტილი აქვს მოუსავლობით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის დაარსება. სათანადო დეკრეტი ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული. და სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს ყველა კუთხეების მუშა, გლეხი, მშრომელი ინტელიგენტი და ყველა პატიოსანი მოქალაქე, ხალისით ჩაებმიან ამ საქმეში, თავის წვლილს შეიტანენ საერთო დახმარების ფონდში და ენერგიულ მუშაობას გასწევენ ამ ფონდის გასაზრდელათ, გასადიდებლათ.

დრო ცოტა დარჩა. ზოგ ალაგას უკვე დაცლილია სასიმინდეები, ზოგან ერთი-ორი თვის შემდეგ შიმშილობის სურათი გადიშლება გლეხის გამრჯე, მარა სტიქიური უბედურებით წელგატეხილ ოჯახში. სწრაფი, ერთბაშათ ამოძრავება ყველა ცოცხალი ძალებისა საბჭოთა ხელისუფლების მეთაურობით მოახლოვებულ შიმშილობის სიმწვავეს გაანელებს და მშრომელთა მასსას იხსნის ხიფათისაგან.

„დემოკრატიის აკვანი“

ერთხელ ნოე ჟორდანიამ მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში დღევანდელ იმპერიალისტურ ინგლისს უწოდა „დემოკრატიისა“ და „თავისუფლების“ აკვანი. ის იდეალათ სახავდა მას და თავისუფლების მოყვარეთ ყავდა წარმოდგენილი წინააღმდეგ იმ საბჭოთა რუსეთისა, რომელიც „დევნის“, ყველას და არ ტოვებს არავითარ „თავისუფლების“ ნატამალს.

მენშევიკებს ასეთი შეხედულება და აზრი იმპერიალისტურ ინგლისზე და საზოგადოთ ყველა „დემოკრატიულ“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე, რომ სავსებით ეგუებოდა და ეთანხმებოდა მათ მრწამს, ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, და თავი კიდევაც ამ ქვეყნებს შეაფარეს. მაგრამ თუ რამდენათ ჭეშმარიტათ მართალი იყო მათი ასეთი დაფასება, ამას ყოველი საღათ მოაზროვნე ადამიანი შეატყობდა ჯერ კიდევ მაშინაც. ამისთვის საჭირო იყო მხოლოთ გადახედვა ამ ქვეყანაზე, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა ის იმ დამორჩილებელ ერებისა და ხალხების მიმართ, რომლებიც სულს ღაფავდენ და ღაფავენ დღესაც ინგლისის მტაცებლებისა და მძარცველების კლანჭების ქვეშ.

ირლანდიის ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის სისხლში ჩაქრობა, ინდოეთის ხალხის უბრალო საწველ ფურათ გადაქცევა და თავისუფლებისაკენ მიმართულ ყოველი მის მოძრაობის იარაღით სასტიკათ დახშობა—აი „დემოკრატიული“ პოლიტიკა და „თავისუფლების მოყვარეობა“ ამ „დემოკრატიის აკვანისა“.

როგორ პოლიტიკას აწარმოებს „დემოკრატიული“ ინგლისი ინდოეთის ხალხის მიმართ? ამაზე გვიპასუხებს თვითონ მისივე ოფიციალური ცნობა. ინგლისის ხელისუფალთა მიერ დატუსაღებული არიან ნაციონალური კონგრესის ბევრი გამოჩენილი წევრები, მათ რიცხვში კონგრესისა და ბენგალიის ხალიფატის საბჭოს თავმჯდომარე. 100 კაცს მისჯილი აქვს ორი წლის ციხე. და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ ბოიკოტი გამოუცხადეს ჯარში მოხალისეებათ ჩაწერას, რომელიც ხდება მხოლოთ იმისთვის, რომ მათი საშუალებით ინგლისის მყვლეფელებმა შესძლონ „ურჩების“ ალაგმვა.

ამ ნიადაგზე ამტყდარმა აჯანყებამ მიიღო სამოქალაქო ომის ხასიათი, რომლის მსხვერპლი პირდაპირ აუწერელია, მოკლულია ორი ათასამდე, დაჭრილი 1500 და ტყვეთ წაყვანილი ინგლისელების მიერ 5 ნახევარი ათასი. ინდოეთის ხალხმა იმას ღირსეული პასუხი გასცა. ის არ დაეცა სულიერათ და თავის ეროვნულ კონგრესზე მოითხოვა ინდოეთის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადება, მან განაცხადა, რომ მიუხედავათ რბევა-აწიოკებისა მათი რწმენა და მისწრაფება განთავისუფლებისაკენ არა თუ კლებულობს, არამედ კიდევ უფრო ძლიერდება.

ასე ეპყრობა „თავისუფლების მოყვარე“ ინგლისი არა მარტო ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიალურ ხალხებსაც.

ეგვიპტე, რომელსაც ინგლისმა ვითომ თავისუფლება მისცა და ასე თუ ისე ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა, ეს ეგვიპტე დღეს ინგლისის ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლის ალშია გახვეული. ინგლისის ხელისუფლებამ ეგვიპტეში მოითხოვა ახალი დამხმარე ძალები, სამხედრო გემები და აეროპლანები, გემებს უბრძანეს დაუშინონ ყუმბარები ინსურგენტებს, ე. ი. ეგვიპტის აჯანყებულებს.

და რისთვის? რატომ ღებულობს ის ასეთ სასტიკ ზომებს ეგვიპტელების წინააღმდეგ? რა დააშავეს იმათ? სრულიად არაფერი. ეგვიპტელები გახდენ ისეთი სასჯელის ღირსი ინგლისის მთავრობის მხრიდან მხოლოდ იმისთვის, რომ მათ არ იცნეს დიდი ბრიტანეთის მოქმედება ლოიალურათ ეგვიპტელების მიმართ და ერთხმათ მოითხოვეს სრული დამოუკიდებლობა თავისი ქვეყნისათვის, ეგვიპტისათვის.

ასეთია ინგლისის ამ „დემოკრატიის აკვანის“ პოლიტიკა მისივე მონობაში მყოფ დაბეჩავებულ ხალხების მიმართ. და ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ასეთია ბუნება ბურჟუაზიული სახელმწიფოების, კაპიტალისტური მთავრობების, როგორი დემოკრატიული წამოსასხამშიაც არ უნდა გამოეხვიოთ ისინი. მათი არსებობა მოითხოვს ყველას დაჩაგვრას, ჩამორჩენილ ხალხებისა და საზოგადოდ წვრილი ერების მონობის უღელში გაბმას, რათა შეინარჩუნონ თავისი ბატონობა და სიძლიერე.

მაგრამ ადრე თუ გვიან შესძლებენ ეს დამონებული ხალხები მეტროპოლიის პროლეტარიატის დახმარებით შეტევაზე გადასვლას და შორს გადისვრიან ამ „დემოკრატიის აკვანის“ მძიმე უღელს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ჩვენი საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობანი საზღვარ-გარეთთან.

მოსკოვი, 7 იანვ (რადიო). ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის 1921 წ. ანგარიშში აღნიშნულია წესიერი საფოსტო დამოკიდებულების დამყარება რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა მსოფლიო საფოსტო კავშირის ქვეყნებთან, აგრეთვე ახლად აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესულან კავშირში. ბოლო დროს ასეთი, ურთიერთობა წარმოებს იმ ქვეყნებთანაც, რომელნიც დღევანდლამდე თავს იკავებდნენ რ. ს. ფ. ს. რ. თან დამოკიდებულების აღდგენისაგან. უკვე მოეწყო ამანათების გაცვლა სხვა ქვეყნებთან; ასეთი გაცვლა დაიწყო ფორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულების გარეშე. ასევე აღდგენილია სატელეგრაფო ურთიერთობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნებთან სამთავრობო, კერძო და საგაზეთო დეპეშების გასაცვლელად. დადებულია კონცესია დანიის ჩრდილოეთ სატელეგრაფო საზოგადოებასთან, მის კუთვნილ საზღვაო და სატელეგრაფო კაბელების საექსპლოატაციოდ; ეს კაბელები აერთებენ ჩვენს ტელეგრაფებს ერთი მხრივ დასავლეთ-ევროპის ქვეყნებთან მეორე მხრივ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ეს კონცესია რომელიც უზრუნველყოფს სატელეგრაფო დამოკიდებულებათა სისწორეს და სისწრაფეს აღნიშნული მიმართულებებით, ამავე დროს ის მოგვცემს ფრიად საგრძნობი ფინანსიურ შემოსავალს—6 მილ. ოქროს ფრანკამდე—სატრანზიტო დეპეშებიდან, რომლებსაც გზავნიან რუსეთით დასავლეთ ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის. ახლო მომავალში დაიდება კონცესია ინდო ევროპის სატელეგრაფო საზოგადოებასთან, რომელსაც აქვს საზღვაო კაბელი ოდესსა და სტამბოლს შორის. ეს კონცესია მოგვცემს შემოსავალს 800.000 ოქროს ფრანკამდე და ტელეგრაფით გვაერთებს ოსმალეთს, სპარსეთსა და სხვა იქეთა ქვეყნებთან.

ჩვენი ექსპორტი ინგლისში.

მოსკოვი 7 იანვარი, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის სავაჭრო წარმომადგენლის მიერ ინგლისში 1921 წ. 1 იანვრიდან 15 ნოემბრამდე გაყიდულ იქნა სხვა და სხვა საქონელი 1.136,000 გირ. სტერლინგის ღირებულებისა.

ორთქლ მავლები საზღვარ-გარედან.

მოსკოვი 7 იანვარი, (რადიო). 1 იანვრამდე რუსეთში საზღვარ-გარედან მოზიდულია სულ 69 ორთქლმავალი, მათ შორის 19 შვედური. ამ ჟამად მოდის ორთქმავლები ვინდავას და რეველის ნავთსადგურებით. გზათა მიმოსვლის კომისარიატი ფიქრობს მიიღოს გაზაფხულამდე 520 ორთქმავალი.

სპეკულიაცია შიმშილზე.

მოსკოვი 5 იანვარი. (რადიო). დიდი ხანია რაც ბალტიის სახელმწიფოების მისიების თანამშრომლობის სპეკულიაციის შესახებ მოდიოდა ცნობები. ჯერ კიდევ 1921 წ. იამბურგის საბაჟომ დააკავა მისიის 24 შეკვრა ბარგი, რომლებზედაც ედვა ლიტვის ელჩის ბეჭედი პეტროგრადში. ბარგის გახსნის შემდეგ იქ აღმოჩნდა სხვა და სხვა საოჯახო ნივთები, მათ შორის ვერცხლის და ოქროს ნივთები და ფულები, მეფის და ქალაქის თვითმართველობის ქაღალდის ფულები. 13 დეკემბერს მოსკოვში გასინჯეს ლიტვის რკინის გზის კომისიის ვაგონები. გასინჯვის შემდეგ რკინის გზის კომისიის თავმჯდომარემ გრინკევიჩმა წარმოადგინა ლიტვის სხვა და სხვა ფირმების ანგარიშები ვაგონში აღმოჩენილ სურსათზე. აღმოაჩინეს 74 ფუთი სახარინი, 200 ფუთი კაკაო და შოკოლადი, ბევრი ყუთები ღვინით, 250 ბოთლი სპირტი და ვეებერთელა კალათი გალანტერეული საქონლით. გრინკევიჩმა სცადა ქრთამით 20 ათასი ლიტვის მარკით, გაეტანა ვაგონი. ირკვევა, რომ 20 ნოემბერს ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებით კოვნოდან გაიგზავნა რუსეთში 3 ვაგონი სურსათი, ამათში ორი ვაგონი დამშეულებისათვის და ერთი მოსკოვში ლიტვის წარმომადგენლებისათვის. სამივე ვაგონი დააკავეს და აღმოჩნდა: ერთში სახარინი და დანარჩენ ორში, რომლებიც დანიშნული იყვნენ დამშეულებისათვის, რკინის გზის ინსტრუქტორები, სანოვაგე, კონიაკი და სახარინი. ცნობები მოდის დანარჩენ ბალტის სახელმწიფოების მისიების სპეკულიაციის შესახებ. 24 დეკემბერს დააკავეს დატვირთული ვაგონი, რომელსაც აგზავნიდა პეტროგრადიდან ლატვიის ელჩი. გახსნის შემდეგ აღმოჩნდა საქონლის სიები. თითქმის ყველაში აღმოჩნდა ბრილიანტები, ოქროს ნივთები, ოქრო, პლატინა, ძვირფასი ბეწვეულობა, ახალი დინამო მანქანა და სხვ. ასეთი ოპერაციები სწარმოებდა დიდი ხნიდან და რეგულიარულად. მისიის ვაგონში, რომლითაც მოგზაურობდა საელჩოს პირველი მდივანი სერბერგი, აღმოაჩინეს საჯდომებს ქვეშ სხვა და სხვა ნივთები და მათ შორის მხატვრული სურათები, ძვირფასი ნოხები, ბეწვეულობა და სხვ. გასატანად აკრძალული ნივთები.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთი

კომუნისტური პროპაგანდა.

კონსტანტინოპოლი, 20 დეკემბერი. „სტამბული“ იუწყება: საბერძნეთის პოლიციამ პირეიში დაიჭირა მთელი დასტები კომუნისტურ მოწოდებებისა, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს ეხლანდელ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებლათ.

საფრანგეთის მცხოვრებლების რიცხვი.

რომი. 5 იანვარი, (რადიო). იტალიის გაზეთები უარყოფენ ბორდოს რადიოთი გადმოცემულ ცნობების სისწორეს საფრანგეთის მცხოვრებლების რიცხვის მომატების შესახებ იტალიის ცნობებით საფრანგეთის და ელზას ლოტარინგიის მცხოვრებლების რიცხვი უდრის 39,400,000 კაცს, მაშინ როდესაც ომამდე მარტო საფრანგეთში ითვლებოდა 39 605,000 კაცი.

ბრიანის განცხადება.

პარიზი. 5 იანვარი. (რადიო). კანაში თავის გამგზავრების წინა დღეს ბრიანმა ლონდონის გაზეთის „დეილი მეილის“ რედაქტორს განუცხადა შემდეგი: ევროპის მდგომარეობა გამწვავებულია. საფრანგეთმა უნდა იზრუნოს თავის უშიშროებაზე. რადგანაც ინგლის-საფრანგეთის კავშირი ფაქტიურად დარღვეულია, საფრანგეთი იძულებულია თავის თავდაცვითი საზღვაო ხაზის გამაგრებით გაამტკიცოს თავისი სამხედრო ძლიერება და უზრუნველჰყოს თავის თავი ყოველგვარ თავდასხმისაგან.

გერმანია

ამერიკის დახმარება გერმანიისათვის

ბერლინი. 5 იანვარი, (რადიო). პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო დეპუტაცია ამერიკელი კვაკერებისაგან, რომლებიც მუშაობდნენ გერმანიაში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ღარიბთა დახმარების ორგანიზაციის მოსაწყობად. ებერტმა გერმანიის ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა კვაკერებს გაწეულ დახმარებისათვის. სურსათით დახმარება უდრის 350 მილ. დოლარს.

პოლონეთი

უმუშევრობა პოლონეთში.

მოსკოვი, 6 იანვარი. რადიო. ვარშავის გაზეთი „რობოტნიკი“ იტყობინება თამბაქოს მრეწველობის კრიზისის შესახებ. ბევრ ფაბრიკებზე მუშების ნაწილი დათხოვნილია. სხვა ფაბრიკებში მუშაობა სწარმოებს კვირაში 2—3 დღე. ბელოსტოკში დაწყებული სამრეწველო კრიზისი მეტად აწუხებს ფაბრიკის მუშებს. ბევრმა მეფაბრიკეებმა დაითხოვეს მუშები უქმეებამდე ორი კვირით ადრე ზოგიერთი ფაბრიკები სავსებით გაჩერდნენ. ანალოგიურ ცნობებს იტყობინება „რეჩ პოსპოლიტა“ კრიზისის შესახებ ლოძში, სადაც ფაბრიკების უმრავლესობა მუშაობს კვირაში 2—4 დღე, მუშების რიცხვი უქმეებამდე არსებულ რიცხვთან შედარებით 40 პროც.

ოსმალეთი

ბექირ-სამი-ბეის დაბრუნება ანგორაში.

ანგორა, 23 დეკ. ანატოლიის სააგენტო იუწყება: ანგორაში მოვიდა ამერიკელ ჟურნალისტის ბრაიანის თანხლებით, ანგორის დელეგატი ანტანტის მთავრობებთან ბექირ-სამი-ბეი.

ოსმალები ადანაში,

ტრაპიზონი, 28 დეკ. „კოტლიბენი“ იტყობინება: „დღეს ოსმალეთის ჯარი შევიდა ადანაში. მოსახლეობა წყნარათ და თავდაჭერით შეხვდა. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ვაშინგტონის კონფერენცია

ლონდონი. 5 იანვარი, (რადიო). ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების კონგრესის წევრმა რიფმა განაცხადა წარმომადგენლების პალატაში შემდეგი: სანამ საფრანგეთი არ შესწყვეტს თავის გადაწყვეტილებას წყალქვეშა ნავების განუსაზღვრელათ შენების შესახებ, რაც იწვევს უდიდეს ხარჯებს, ამერიკამ უნდა მოითხოვოს, რომ საფრანგეთმა დაფაროს თავის უზომო სამხედრო გასავალი საკუთარი კაპიტალიდან და არ ექნეს იმედი ამერიკის დახმარებისა. ამის გარდა საფრანგეთი ვალდებულია გადაუხადოს ამერიკას ყველა თავის ვალები, რადგანაც თუ ის შესაძლებლად სცნობს ამ დიდი სამხედრო ხარჯების გაწევას, გადაიხადოს ვალებიც.

ლონდონი. 5 იანვარი, (რადიო). ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა ლორდ-რიდელმა განაცხადა: ამერიკის დელეგაცია ვაშინგტონის კონფერენციაზე ისახავდა ერთ მიზანს—თავის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. ინგლისს არ შეეძლო რასაკვირველია ამას შეხვედროდა გულ-გრილათ.

სტოკჰოლმი. 5 იანვარი. (რადიო) შვეციის ფლოტის წარმომადგენელმა კაპიტანმა გრეკმა პრესის წარმომადგენელთა საუბარში აღნიშნა რომ შვეცია სთვლის წყალ ქვეშა ნავებს საუკეთესო საზღვაო თავ დაცვის საშუალებათ პატარა სახელმწიფოებისათვის. ამიტომ შვეციამ გადასწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავის წყალ ქვეშა ფლოტის გაძლიერებას.

პარიზი, 5 იანვარი (რადიო). საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა: თუ იქნება მიღებული მისი წინადადება საფრანგეთისათვის წყალ ქვეშა ფლოტის რიცხვი, ის გამოაცხადებს, რომ წყალ ქვეშა ნავების ყველა კომანდირები, რომლებიც დაარღვევენ მოწერილობას გამოცხადებული იქნებიან ზღვის მეკობრეებათ და სათანადოთ დაისჯებიან.

ნიორკი. 5 იანვარი, (რადიო). ჩინეთის დელეგაციამ ვაშინგტონში მიმართა თხოვნით ხიუგს და ბალფურს რომ აიღონ თავის თავზე შუამდგომლობა შანტუნგის საკითხის მოგვარებაში.

პარიზი. 5 იანვარი, (რადიო). „მატენი“ იტყობინება: ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენლების პალატას განზრახული აქვს გამოიტანოს რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ წინადადება მისცეს საფრანგეთს სასწრაფოდ გადაიხადოს ამერიკის ვალები. ეს რეზოლიუცია იქნება პასუხი საფრანგეთის ჟინიანობის წინააღმდეგ წყალ-ქვეშა ფლოტის საკითხში.

ევროპის აღდგენა

ლონდონი. 5 იან. (რადიო). „ტაიმსი“, არჩევს რა პარიზში შედგენილ გეგმას ევროპის აღსადგენათ, აღნიშნავს, რომ ეს გეგმა არ გვაძლევს დიდ იმედებს. ევროპის მთავრობები დიდი ხანია ადგენენ პროექტს აღმოსავლეთ ევროპის და უმთავრესათ რუსეთის აღსადგენათ, მაგრამ ეს საკითხი აქამდე ვერ დაიძრა მკვდარ წერტილიდან და წარმოადგენს სხვა და სხვა ფინანსისტებისთვის მხოლოთ საკამათო და საკრიტიკო საგან. გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ბეჯითათ მოითხოვს ევროპის აღდგენის პროექტის მიღებას სხვა და სხვა მნიშვნელოვან ეკონომიურ მოსაზრებათა ძალით. ეგაა ეს მოსაზრებები პოლიტიკურათ მნიშვნელოვანნი არიან, ეკონომიურათ კი უნაყოფონი გამოდგნენ.

პარიზი, 5 იან. (რადიო). „გოლუა“ სწერს: მოლაპარაკება მრეწველთა და ფინანსისტთა შორის, რომელიც გამართული იყო პარიზში უკანასკნელ კვირის განმავლობაში, დასრულდა ევროპის და ყველაზე უწინარეს რუსეთის აღდგენისთვის დაწვრილებით გეგმის შემუშავებით. მერე გაზეთი სწერს: მაგრამ საფრანგეთის ხალხს სურს იცოდეს, რას გააკეთებენ გერმანიისთვის, გადიხდის იგი ვალებს, თუ არა და რამდენ ხანს იქნება საფრანგეთი იძულებული შეინახოს თოფ ქვეშ 800,000 ანი არმია, როდემდი იქნება იგი ისეთი ქვეყნის მდგომარეობაში, რომელსაც ემუქრებიან, და დასასრულ, როდის მიიღებს იგი კუთვნილ კონტრიბუციას, რომელიც საჭიროა ომის დროს განადგურებულ მრეწველობის აღსადგენად. „მატენი“, არჩევს რა ევროპის აღდგენის გეგმას, აღნიშნავს: არა გვგონია, რუსეთისა და ევროპის ფინანსიური ეკონომიური აღდგენა შესაძლებელი იყოს ამერიკის დაუხმარებლად, გაზ. „ეკლერის“ სიტყვით, საფრანგეთს უფრო ვიდრე ყოველ სხვა სახელმწიფოს, ეინტერესება საკითხი, როგორ გადაწყდება ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი, ესოდენ მნიშვნელოვანი სხვა სახელმწიფოებისათვისაც. მაგრამ საფრანგეთი გადაჭრით უარს ამბობს—იკისროს ამ კრიზისის გადაწყვეტა თავის ხარჯზე, რადგან ხალხი, რომელმაც გადაიტანა მდგომარეობას მთელი სიმძიმე, იძულებული იქნება იკისროს აგრეთვე შესაძლებელ შეცდომების პასუხისმგებლობაც. ევროპის სახელმწიფოებმა უნდა გულწრფელად გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და თანხმობით შეუდგნენ დარღვეულ ეკონომიურ წონასწორობის აღდგენას. გაზეთი „გოლუა“ აღნიშნავს: საფრანგეთი შეუერთდება ახალ ეკონომიურ რეჟიმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველჰყოფენ მის უშიშროებას. საფრანგეთი არსებითად დაინტერესებულია კონტრიბუციის მიღებაში, რადგან ეს კონტრიბუცია საჭიროა მის ფინანსიურ და ეკონომიურ აღორძინებისთვის. გერმანია რომ გაანთავისუფლოს შესაძლებელ კატასტროფისგან, საფრანგეთი თითონ გახდება მსხვერპლი კატასტროფისა.

საფრანგეთ-იაპონიის კავშირი.

ბორდო, 5 იანვარი. რადიო. სტატს-სეკრეტარმა ხიუგმა, სარროს წერილის პასუხათ, გადაჭრით უარჰყო ხმები საფრანგეთ-იაპონიის შეთანხმებაზე ციმბირში საერთო პოლიტიკის შესახებ.

ლონდონი, 5 იანვარი. რადიო. ჩინეთის დელეგაცია ვაშინგტონის კონფერენციაზე იტყობინება ამერიკულ პრესსაში, რომ მიუხედავათ საფრანგეთის უარყოფისა, იგი, დელეგაცია, მაინც ირწმუნება, რომ საფრანგეთსა და იაპონიას შორის შეკრულია შეთანხმება ციმბირის შესახებ. დელეგაცია ამოწმებს ნიუ-იორკის პრესის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების სინამდვილეს.

მსოფლიო შიში.

პარიზი, რადიო. ფრანგული მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ მთელ ქვეყნიერობაზე სუფევს შიში, რომელსაც ვერ გაფანტავს რამდენიმე სახელმწიფო, გინდა მათ „დიდები“ ერქვას. ეხლანდელ მსოფლიო კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭიროა ყველას პატიოსანი თანამშრომლობა.

„ფურნიეს“ სააგენტო იგონებს, რომ წარსულ საუკუნეში რამდენიმე სახელმწიფომ, რომელთაც დაკარგეს უნარი თვითმართველობისა და არ შეეძლოთ საკუთარის ღონით დაეკმაყოფილებინათ თავისი მოთხოვნილება, შემწეობა სთხოვეს სხვა სახელმწიფოებს, რის სამაგიეროთ დათანხმდენ დაეწესებინათ თავიანთში საერთაშორისო საკონტროლო კომისია. იგონებს რა ამ ფაქტს გაზეთი კითხულობს, გერმანია რატომ არ თანხმდება ასეთსავე კონტროლს, რაკი მან აღიარა თავის გაკოტრება, თავისი კრედიტის უნარობის უქონლობა და მიიღო 5 ფინანსისტის კონსორციუმის შემწეობა. უფრო პატიოსანი იქნება აღიაროს, რომ ამ კონცორციუმის შემწეობა ფაქტიურათ მოასწავებს ადმინისტრატიულ და ფინანსიურ კონტროლის დაწესებას გერმანიის ფინანსებზე.

კანნის კონფერენცია.

ბორდო. 5 იანვარი, (რადიო). ბრიანი მოვიდა კანნაში: კონფერენციის ოფიციალურათ გახსნამდე, რომელიც დანიშნულია პარასკევს, 6 იანვარს, მოხდება კერძო თათბირი ლოიდ ჯორჯთან.

ნაუენი 5 იანვარი, (რადიო). გაზეთი დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი სწერს: კონფერენცია კანნაში ბრიანისთვის წარმოადგენს თამაშს „ვა-

დღიური

მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი შრომის ხელფასის ახალი ნორმის შესახებ.

ბალტიის სახელმწიფოთა მისიები რუსეთში სისტემატიურად ეწეოდენ სპეკულიაციას; ვითომდა სურსათსანოვაგეს ეზიდებოდენ დამშეულებისათვის, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სპეკულიაციური მიზნით გაჰქონდათ და შემოჰქონდათ ძვირფასი ნივთები.

გამოაშკარავდა საფრანგეთ-იაპონიის საიდუმლო შეთანხმება რუსეთისა და ციმბირის წინააღმდეგ.

მრეწველობის კრიზისი პოლონეთში; ფაბრიკა-ქარხნები იკეტება; უმუშევართა რიცხვი თანდათან მატულობს.

6 იანვარს ოფიციალურად გაიხსნა ანტანტის წარმომადგენელთა კონფერენცია კანში.

ტრანსპორტის, მემალაროების და მელითონეთა საერთაშორისო კონფერენციამ ამსტერდამში დაადგინა, საყოველთაო გაფიცვის განხორციელებით ხელი შეუშალოს ახალ მსოფლიო ომს, თუ ასეთი ისევ გაჩაღდება.

ბანკს“. საფრანგეთის პირველი მინისტრი უნდა ჩამოვიდეს ყველა თავის კოზირებს. ბრიანს განზრახული აქვს საბუთათ გამოიყენოს გერმანიის მუქარა და ინგლისთან ურთიერთობის შესაძლებელი გამწვავება და ამის ძალით დაამტკიცოს, რომ საფრანგეთი იძულებულია შეინახოს სერიოზული სამხედრო ძალა. გერმანული გაზეთი აღნიშნავს სხვათა შორის, რომ ბრიანმა გადასწყვიტა საბუთათ გამოიყენოს აგრეთვე ბოლშევიკური საფრთხეც. საფრანგეთის მთავრობის აზრით, ბოლშევიკების ძლიერი ჯარი აიძულებს ევროპის მთავრობებს ფრთხილათ იყვნენ. საზოგადოთ ბრიანს განზრახული აქვს გაატაროს იმპერიალისტური პოლიტიკა და ბეჯითათ მოითხოვოს კონტრიბუციის გადახდა.

ნაუენი. 5 იანვარი, (რადიო). „დეილი მაილი“ იტყობინება, რომ ბრიანმა კანნაში წასვლის წინ განაცხადა: ევროპის სიწყნარის და მშვიდობის მოყვარეობის საფუძველს შეადგენს უშიშროება საფრანგეთისა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველ გარეშე მუქარისგან. ასეთ გარანტიათ შეიძლება იყოს მხოლოთ ინგლის-საფრანგეთის მკვიდრი პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი.

პარიზი. 5 იანვარი, (რადიო). ზოგიერთი ფრანგული გაზეთები (უმცირესობა) იმედიანათ უცქერიან კანნის კონფერენციას. „ენტრანსიჟანი“ აღნიშნავს, რომ აუცილებლათ საჭიროა რაც კი შეიძლება გაბედულათ ვებრძოლოთ იმ სულის დაცემას და ეკონომიურ კრიზისს, რომელნიც სუფევენ საფრანგეთში. ამ თვალსაზრისით უნდა მივესალმოთ კანნის კონფერენციას. გაზეთი მაინც არ მალავს, რომ კონფერენცია იხსნება ცუდ პირობებში. არაა მუშაობის მტკიცეთ შემუშავებული გეგმა და პროგრამა და ამიტომ მოსალოდნელია ყოველი არასასიამოვნო სიურპრიზი. ფაქტები ასეთია: ინგლისი იმ აზრით მიდის კანნაში, რომ ასწიოს გერმანიის მარკის კურსი, საფრანგეთი კი მიდის იქ თავის უფლების და ინტერესების დასაცველად. გაზ. „გოლუამ“ მოათავსა კაპიუსის წერილი, რომელშიაც სწერია: საფრანგეთმა ისეთი ძნელი თამაში უნდა ითამაშოს კანნის კონფერენციაზე, როგორიც ჯერ არ შეხვედრია შერიგების შემდეგ. საფრანგეთს აღარ შეუძლიან აიტანოს საერთაშორისო იჭვები და ცილისწამება. ინგლისს, ეტყობა, არ ესმის საფრანგეთის ყველა პოლიტიკური გაჭირვება და მისი მორალური განმარტების დაუშვებლობა.

ბორდო, 7 იანვარი. რადიო. პარასკევს, 6 იანვარს ოფიციალურად გაიხსნა კანის კონფერენცია.

ნაუენი, 7 იანვარი. რადიო. გერმანიის პრესსა ამტკიცებს, რომ როგორც სჩანს, ინგლისს უნდა დიდ დათმობაზე წავიდეს გერმანიისადმი კონტრიბუციის გადახდაში. ინგლისმა მტკიცედ გადასწყვიტა, დაეხმაროს გერმანიას მისი ფინანსიური და საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლად. ამასთან ინგლისი თხოულობს გერმანიისაგან ზოგიერთ ფინანსიურ გარანტიას, მათ შორის გერმანიის სახელმწიფო ბანკის რეორგანიზაციას, ბიუჯეტის რეფორმას და მოკავშირეთა კონტროლის დაშვებას. გერმანიის პრესის აზრით ეს პირობები იმდენად მძიმეა, რომ საეჭოა მათი მიღება გერმანიის მთავრობის მიერ. ამიტომ მდგომარეობა მეტად გამწვავებული რჩება. მდგომარეობა გავლენას ახდენს ბერლინის ბაზარზე, სადაც დოლარი ღირს 200 მარკა.

ბორდო. 7 იანვარი (რადიო) გერმანიის მთავრობამ გადასცა მოკავშირეთა საკონტრიბუციო კომისიას დეტალური პასუხი ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კონტრიბუციის პრობლემასთან ეს პასუხი განსახილველად გადაეცემა კანის კონფერენციას.

ლონდონი 7 იანვარი. (რადიო). კონტრიბუციის საკითხის შესახებ „დეილი მაილი“ სწერს: ყოველგვარი შეთანხმება, რომელიც აგრძელებს კონტრიბუციის გადახდის ვადას, საფრანგეთისათვის მიუღებელია. საფრანგეთის რესპუბლიკამ მწარე გამოცდილებით იცის, რა საფრთხეს წარმოადგენს მისი მეზობელი—გერმანია; მან იცის აგრეთვე, რომ ვადის გაგრძელება მძიმედ აწვება თავზე საფრანგეთს. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს ლოიდ-ჯორჯის გაუბედავ პოლიტიკას და სწერს: თუ ინგლისის მიერ გერმანიის აღდგენის დროს განადგურდება საფრანგეთი, ამით ზარალს ნახავს ყველაზე ადრე ინგლისი.

კონტრიბუციის საკითხი.

ბორდო, 6 იანვ. რადიო, საფრანგეთის პრესა აღნიშნავს: საეჭვოა, რომ კანნაში გადაწყვეტილ იქმნან მსოფლიო მნიშვნელობის საკითხები. თითონ ლოიდ ჯორჯი სცნობს, რომ აუცილებლათ საჭიროა ამერიკის ჩარევა კონტრიბუციის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტაში და მოკავშირეთა ვალდებულების საკითხის მოწესრიგებაში. შემდეგ, ფრანგული გაზეთები უარყოფენ გავრცელებულ ხმას, ვითომ საფრანგეთი ისე იყოს გატაცებული თავის გამარჯვებით დიდ ომში, რომ ახალი ომის შესაძლებლობა საფრანგეთის ხალხში მეტს მოთხოვნას ბადებდეს, ვიდრე სხვა რომელიმე ერში. პარიზის გაზეთები იწერენ: საფრანგეთს მშვენივრათ ესმის, რომ მას ისე ძვირათ დაუჯდა გამარჯვება მსოფლიო ომში ჯარისკაცთა და საშუალების მხრივ, რომ ფიქრი ახალ ომზე მხოლოდ აძრწუნებს მას. დასასრულ, რომელ ახალ სარგებლობას ნახავს ახალ ომისგან საფრანგეთი, რომელმაც უკვე გაანთავისუფლა ელზას-ლოტარინგია და თავისი ახალშენები გააფართოვა შესაძლებლობის ფარგლებამდე. პირიქით საფრანგეთი იძულებული იქნება დატოვოს რეინის ოლქი, დასახლებული 6 მილიონი გერმანელით. რადგან ამ ოლქის შეერთება მას არ შეუძლიან, ვინაიდან ეს გახდებოდა შურისძიების ომის მიზეზი გერმანიისთვის. მერე გაზეთები უჩივიან ინგლისს და ამერიკას: ჩვენ ინგლისელ და ამერიკელ მეგობრებს შეეძლოთ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ეთქვათ, რომ ისინი შესცდნენ, რომ საფრანგეთს აბრალებდენ იმპერიალიზმს, ისე როგორც ისინი ლაპარაკობდნენ გერმანიაზე. ამ ჟამათ კი სრულიად ბუნებრივია, რომ გერმანია ჩივის დაღუპვაზე, რომელიც გამოწვეულია ყველა მოკავშირეთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულობით, და რომ რუსის ბოლშევიკები საფრანგეთს აბრალებენ იმპერიალისტურ განზრახვებს. ბოლშევიკები ამ ბრალდებას იმით ასაბუთებენ, რომ საფრანგეთმა ინსტრუქტორები გაუგზავნა პოლონეთის ჯარს და საფრანგეთი რომ არა, რუსის ჯარი დიდი ხანია დაიჭერდა ვარშავას. ეს ბრალდება სრულიად ბუნებრივია, მაგრამ რესპუბლიკელ საფრანგეთს სრულიად გაუგებრათ, უცნაურათ და სასაცილოთ მიაჩნია, რომ ეს ბრალდება სჯერათ მის მეგობრებს და მოკავშირეებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1922 წლის 15 იანვრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაგ. მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. ს. ქავთარაძე.

2. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.

3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა, წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერთან—მომხს. ამხ. ნაზარეტიანი.

4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხს. ამხ. ტოროშელიძე.

5) სადგილ მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.

6) კოოპერაცია—მომხს. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.

7) სასურსათო პოლიტიკა—მომხს. ამხ. ერქომაიშვილი.

8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. ბ. კვირკელია.

9) ეროვნული საკითხი საქართველოში—მომხს. ამხ. ორახელაშვილი.

10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხს. ამხ. დონენკო.

11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.

12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.

13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.

14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.

15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1 პარტიის წევრთა და კანდიდატების თითეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრზე და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6 პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი ორახელაშვილი.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე დონენკო.

საბჭოთა რუსეთი და დასავლეთი

საფრანგეთის ოინები

მოსკოვი, 6 იანვ. რადიო. (დასაწყისი მიღებული არაა)... დასასრულ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ სასურველი არაა ვიქონიოთ რამე ურთიერთობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არავითარ კანონიერ გარანტიებს არ იძლევიან კერძო საკუთრების უფლების დასაცავათ დადებულ ხელშეკრულებათა შესასრულებლათ. ამ უკანასკნელ შენიშვნაში ყველა გაზეთები ჰხედავენ ნიშანს რუსეთზე: „ტაიმსიც“ რუსეთს აკუთვნებს ამ შენიშვნას და დაასკვნის, რომ საკითხი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ აღძრულია სრულიად სწორათ და განსაზღვრულათ. „ფრანგები, ამბობს გაზეთი, მოინდომებენ კერძო გარანტიების ახსნას მის ჩვეულებრივ მნიშვნელობით, მაგრამ შესაძლებელია, რომ ინგლისი მოინდომებს გაცილებით ფართე განმარტებას. რუსეთის მოყვარე ელემენტებს ინგლისში შეუძლიანთ წამოაყენონ შემდეგი საბუთი: რადგან მთელ მსოფლიოს სჭირია მთელი მსოფლიო, ამიტომ რუსებს შეუძლიათ თავიანთი მდგომარეობა მკვიდრათ ჩასთვალონ და მხოლოთ მცირე რამ დაუთმონ დასავლეთის სახელმწიფოებს.“

გამოაშკარავებული ხელშეკრულობა.

მოსკოვი, 8 იანვარი (რადიო). „მანჩესტერ გარდიენმა“ გამოაქვეყნა დეპეშა ვაშინგტონიდან, სადაც გადმოცემულია იმ დოკუმენტების შინაარსი, რომელნიც მიღებულია შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგატებისგან, მათ შორის საფრანგეთ-იაპონიის საიდუმლო შეთანხმების ტექსტი. ციმბირის შესახებ დოკუმენტები სავსებით აშკარავებენ საფრანგეთ იაპონიის შეთქმულობას რუსეთისა და ციმბირის წინააღმდეგ. ხელშეკრულობის ძირითად მუხლების თანახმათ, იაპონიას, თუ იგი დაიპყრობს ციმბირს, ეძლევა სრული ბატონობის უფლება მასზე არა თუ მარტო სამხედრო, ეკონომიურიც. ამის სამაგიეროთ, იაპონია მოვალეა იკისროს გადაზიდვა ვრანგელის ჯარის იარაღისა და მოწყობილობისა.

დასავლეთის პოლიტიკის შეცვლა რუსეთის მიმართ.

მოსკოვი, 6 იანვარი რადიო. დასავლეთ ევროპის პოლიტიკის შეცვლის თაობაზე რუსეთის მიმართ, თეთრგვარდიელთა გაზეთი „გოლოს როსსიი“ ამბობს: საბჭოთა რუსეთის ცნობას დასავლეთის მიერ უშუალო მნიშვნელობა ექნება რუსეთის ოპოზიციონურ ელემენტების ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან შეთანხმებისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ შეთანხმების პროცესსათ ჟურნალ „სმენა ვეხ“-ის გამოსვლის დროიდან მეტათ გაძლიერდა.

საფრანგეთ-იაპონიის შეთქმულება.

მოსკოვი, 7 იანვარი, (რადიო. პრესაში გამოქვეყნებულმა, შემაძრწუნებელ დოკუმენტებმა იაპონიის და საფრანგეთის შეთქმულების შესახებ რუსეთისა და კერძოთ ციმბირის წინააღმდეგ მეტათ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ამერიკაში, მიუხედავათ საფრანგეთის და იაპონიის წარმომადგენელთა ოფიციალურ უარყოფისა. ამ უარყოფის თაობაზე გაზ. „მანჩესტერ გარდიანი“ სწერს: მეტი რა ჩარა ჰქონდათ იმ აღშფოთების გამო, რომელიც გამოიწვიეს ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში დოკუმენტებმა, მეტადრე დოკუმენტების იმ ნაწილმა, რომელშიაც გამოაშკარავებულია საფრანგეთის და იაპონიის მედიდური განზრახვები რუსეთსა და ციმბირში. ყოველ შემთხვევაში ამ დოკუმენტებმა მეტათ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს კონფერენციაზე და შეარყიეს რწმენა საფრანგეთის და იაპონიის დიპლომატიურ ხერხების გულწრფელობისადმი. გაზ. „ნიუ იორკ უორლდი“ სწერს, რომ არა დროს არც ერთ საერთაშორისო კონფერენციას არ მიუღია ასეთი თავზარდამცემი დოკუმენტები. „დაილი ტელეგრაფის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, საფრანგეთში ძლიერ სწყინთ, რომ ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულ იქმნენ სწორეთ ისეთ მომენტში, როდესაც საფრანგეთის საერთაშორისო ურთიერთობა მეტათ გამწვავებული იყო. გაზ. „დეილი ექსპრესსი“ აღნიშნავს: ამერიკის საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავათ უარყოფისა, სულაც არაა დარწმუნებული დოკუმენტის სიყალბეში, რადგან იაპონიის და საფრანგეთის უარყოფას აქვს ცხადი ხასიათი დაინტერესებულ მხარეთა განცხადებისა. ამ გაზეთის კორესპონდენტთან საფრანგეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა აღიარა, რომ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს ვრანგელის ჯარის-კაცების სურსათით მომარაგებას, მაგრამ მას არას დროს არ უფიქრია მათი გაგზავნა ციმბირში. ვრანგელის არმიაზე საფრანგეთის განუწყვეტელ კონტროლის ასეთი აღიარება ისე დაეცათ როგორც მეხი მოწმენდილ ცაზე.

სადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში

სადგილ-მამულო საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც მუდმივ აღელვებს გლეხობას, საბჭოთა ხელისუფლებამ გამონახა ყველაზე უფრო სწორი და ერთად ერთი შესაძლებელი გამოსავალი: ერთ ერთ პირველ თავისი საკანონმდებლო აქტით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე, მისი სყიდვა-გაყიდვა, და მიწა მისაწვდომი გახადა იმათთვის, ვისაც თავისი შრომით სურს მისი დამუშავება. ამ ნაბიჯით ბოლო მოეღო წარსულის ყველა ნაშთებს, ბატონყმური წონობის, ჩაგვრის და ძალადობის ყველა ნაშთებს. ზომა, რომლისთვისაც ვერ მოუმართავს არც ერთ წინანდელ მთავრობას, მათ შორის ქართველ მენშევიკების მთავრობასაც, პირველ რიგში იქნა განხორციელებული საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ.

7—8 თვის განმავლობაში, რომელმაც განვლო მიწის შესახებ პირველი ძირითადი დეკრეტის (№ 17) გამოცემიდან, მიწად მოქმედების კომისარიატმა, მიუხედავად კოლოსალური სიძნელისა, შეასრულა უშველებელი წინასწარი სამუშაო უდიდესი სადგილ-მამულო რეფორმის გასატარებლად ცხოვრებაში, რომელიც ბოლოს უღებს გლეხის შრომის ექსპლოატაციას და რადიკალურად ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობას—ერთი მხრივ და ადამიანთა და ბუნებას შორის-მეორე მხრივ. რა თქმა უნდა, რომ საუკუნოებით გამომუშავებული, დღევანდლამდე არსებული სადგილ-მამულო ურთიერთობანი ფრიად რთულია და უკიდურესად დახლართულია და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს დამოკიდებულებანი უკვე ჩანერგილია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებში, და ამიტომ გასაგებია, რომ შეუძლებელია ამ ურთიერთობის ერთბაშად შეცვლა, მისთვის ერთის დაკვრით ბოლოს მოღება. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ხალხის ყოფა-ცხოვრების ყველა პირობებს და ზნე-ჩვეულებებს და, ახდენს რა ძირითად გარდატეხას სადგილ-მამულო დამოკიდებულებაში, იგი ამ დამოკიდებულებას უაღრესად ფრთხილად უნდა მოუდგეს.

მაგრამ საქმე უკვე დაწყებულია, ყველაზე მთავარ მიწის საკითხის გადაჭრა შესრულებულია ჩვენში, ახლა დაგვრჩენია მეთოდიურად, ნაბიჯ ნაბიჯზე, შეუპოვრად წინ სვლა. საბედნიეროდ, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს საბჭოთა რუსეთის მდიდარი გამოცდილება; ჩვენ სავსებით უნდა გავითვალისწინოთ ეს გამოცდილება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ავიცილოთ იმ შეცდომების განმეორება, რომელნიც აუცილებელი იყვნენ პირველად მიწის სოციალიზაციის გატარების დროს რუსეთში. ერთი მხრივ სასოფლო მეურნეობის საშინელი ჩამორჩენილობის დროს რუსეთში, გლეხობის სხვა და სხვა წრეების ეკონომიურ უთანასწორობის დროს მეორე მხრივ, და მესამე მხრივ მუშურ გლეხური სახელმწიფოს უკიდურესი სიღარიბის დროს,—გამთანასწორებელი მიწით სარგებლობას არ შეიძლებოდა რგებოდა წარმატება, და ეს გარემოება ახლა ყველასათვის ცხადი შეიქნა. ამასთან ერთად სხვა და სხვა კოლექტიური ფორმები მიწად-მოქმედებაში აგრეთვე ცოტად თუ ბევრად ფართედ ვერ განვითარდნენ ამ 3—4 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ამ მიზნით მიმართავდა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უდიდესი აგრარულ რევოლიუციის შედეგები, რომელიც მოხდა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების დროიდან, გამოიხატა არა მარტო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებაში და არა მარტო მსხვილი კერძო, მემამულეთა მიწით სარგებლობის მოსპობაში, არამედ პირველ ყოვლისა და უმთავრესად გლეხურ მოსახლეობის გათანაბრებაში, ე. ი. შუათანების რაოდენობის სწრაფ ზრდაში ერთი მხრივ უმიწო წყლო და მცირე-მიწიან გლეხობისა და მეორე მხრივ ბევრი მიწის მქონე ან „კულაკ“ გლეხობის ხარჯზე. მაგრამ გლეხობის ამ გათანაბრებას არ გამოუწვევია არც სასოფლო-მეურნეობის წარმატება საერთოდ, არც წვრილ და საშუალო-გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაწყებულმა გლეხებ შორის მიწების ხშირ გადაყოფამ ერთი მხრივ და სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებზე სახელმწიფო გაწერამ და მონოპოლიამ—მეორე მხრივ გამოიწვიეს, პირველი: გლეხები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თავიანთი ნაჭრებით ისარგებლებდნენ, და, მეორე, სათესი სივრცის ძლიერი შემცირება, ხოლო ყველაფერ ამას ერთად აღებულს მოჰყვა სასოფლო მეურნეობის საგრძნობი დაქვეითება. ამავე დროს ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთი, საქართველოში და სხვა, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენს და, სადაც სასოფლო-მეურნეობა ასრულებს ფრიად მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში,—მთელი მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობა დამოკიდებულია პირველ ყოვლისა და უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის წარმატებასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ეხლა, როცა საბჭოთა რესპუბლიკები ასეთ მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდიან. ცხადი ხდებოდა, რომ თუ მიწათ-მოქმედი კლასი არ დაამუშავებს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ისეთ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნება არა მარტო ამ პროდუქტების თვით მწარმოებელთა გამოსაკვებად, არამედ აგრეთვე სამრეწველო მუშების, არმიის და საბჭოთა მოსამსახურეებისათვისაც, საერთოდ ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის,—მუშათა სახელმწიფო აღმოჩნდება საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში, რომლიდან გამოსავლის პოვნა შეუძლებელი იქნება.

ამიტომ საჭირო იყო რაც არ უნდა დამჯდარიყო, გამოგვენახა საშუალებანი სასოფლო-მეურნეობის აღორძინებლად, გამოგვეწვია გლეხებში ხალისი პურეულის სათეს სივრცის გასაფართოვებლად, ძვირფას, ტექნიკურ მცენარეების მოსაყვანად, რაც რევოლიუციის განმავლობაში თითქმის სავსებით შეწყდა აქედან იყო დამოკიდებული მომავალი არა მარტო მთელი ნაციონალიზაცია ან სოციალიზაცია მოწინავე მრეწველობისა ქალაქებში, არამედ მუშა-გლეხთა რევოლიუციის და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ბედიც აქაა მიზეზი და საფუძველი ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა, რომელიც არსებითად წარმოადგენს დაბრუნებას იმისაკენ, რაც იყო 1918 წლის დასაწყისში.

როგორც ცნობილია, ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატა დასაწყისში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფოებრივი გაწერის და პურეულის მონოპოლიის გაუქმებაში და ყველა ამის შეცვლაში სასურსათო გადასახადით ერთი მხრივ და ადგილობრივი ტრიალის თავისუფლების დაშვებაში მეორე მხრივ,—მოასწავებდა პირველ ყოვლისა დათმობებს შუათანა გლეხობის მიმართ.

ამგვარად, ამ პოლიტიკამ თავი იჩინა პირველყოვლისა და უმთავრესად სასოფლო მეურნეობის დარგში, მისი აღორძინების და დაუყონებლივ გაუმჯობესების მიზნით, და მხოლოდ შემდეგ ის ლოღიკურად გავრცელდა მრეწველობაზედაც. სამწუხაროდ, როდესაც ლაპარაკობენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაზე ცხოვრებაში, ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასოფლო მეურნეობას. განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში. ასე იყო დღევანდლამდე მაინც.

თუმც არ მოგვეპოვება სწორი სტატისტიკური ცნობები სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენში, საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს როლი ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია, სასოფლო მეურნეობის წარმოება შეადგენს მთელი სახალხო წარმოების თუ ცხრამეათედს არა, ყოველ შემთხვევაში შვიდმერვედს. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის სასოფლო მეურნეობას და როგორი ყურადღება უნდა მიაქციოს მას საბჭოთა ხელისუფლებამ.

მაგრამ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, მისი მაღალ დონემდე აყვანა დღევანდელ მძიმე პირობებში დამოკიდებულია მთელი ჩვენი აგრალურ რეფორმის წარმატებით გატარებაზე ცხოვრებაში, ე. ი. მიწად მოწყობის სასწრაფოდ დამთავრებაზე. მიწად-მოწყობის და მიწად-სარგებლობის საკითხები ფრიად რთულია და საპასუხისმგებლო. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მიწადსარგებლობის ფორმებსა და ხასიათთან, საშუალო საშრომო ნორმების გამომუშავებასთან რესპუბლიკის ცალკე რაიონებისათვის და სხვა. შემდეგ მოგვიხდება დავაწესოთ მემკვიდრეობის ფორმები ახალ პირობებში, ახალ გადაყოფათა ვადები, პირველ ხანებში დაუშვათ შესაძლებლობა თავისუფალ მიწების იჯარით გაცემისა წითელ არმიელთა ოჯახების ან საერთოდ შეუძლო გლეხების მიერ, საზოგადოებრივი ორგანოების კონტროლ ქვეშ, დაუშვათ დაქირავებულ შრომის გამოყენება განსაზღვრულ პირობებით და სხვა. ყველა ამ საკითხების სწორი გადაჭრას და მოწესრიგებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის კულტურის წარმატებისათვის, სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად იმ მხრივ. რათა ყველამ, ვინც ეწევა სამიწადმოქმედო შრომას, იცოდეს თავისი უფლებანი და მოვალეობანი. ვინაიდან ცხადია, რომ შეუძლებელია სასოფლო - სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება და მაღალ დონეზე აყვანა, თუ მიწადმოქმედს არ მიეცემა ცოტად თუ ბევრად მტკიცე უფლებები და ნორმები. რა თქმა უნდა, რომ მუშა-გლეხთა სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა აქეზებდეს და ხელს უწყობდეს მიწად სარგებლობის კოლექტიურ ფორმებს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ გადასვლა მიწად სარგებლობის კოლექტიურ ფორმებზე შეიძლება ხდებოდეს გლეხების მხოლოდ ნებაყოფლობითი გაერთიანებით. უნდა კარგად შევითვისოთ ის აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრით უარყოფს გლეხურ მეურნეობაზე ზედმოქმედების ყოველგვარ იძულებითი ზომებს. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი საშუალებები, რომ გლეხები პირადად დაინტერესდენ სასოფლო მეურნეობის აღორძინებასა და ზრდაში. პირადი დაინტერესების გარეშე, მარტო ერთი იძულების ზომებით ჩვენ გლეხურ მეურნეობას ლიტიკას საფუძვლათ დაედო შემდემკვდარ წერტილიდან ვერ დავსძრავთ. ამაში სახადად დაგვარწმუნა საბჭოთა რუსეთის გამოცდილებამ. ვაძლევთ რა გლეხობას მტკიცე გარანტიებს მისთვის მიზომილ მიწის ნაჭრებზე, ჩვენ ამავე დროს ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ გლეხებზე დამარწმუნებელი მეთოდებით და თვალსაჩინო ლოდნით (სხვადასხვა საცდელ საჩვენებელი, აგრონომიული სადგურები და სხვა).

ინტერესს არ იქნება მოკლებული მოვიყვანოთ აქ რუსეთის „მიწა-ტყის“ კავშირის ახლახან დასრულებული მეორე კონფერენციის რეზოლიუცია, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლების განხორციელების შესახებ სასოფლო მეურნეობაში. ამ პოლიტიკის საფუძვლით დაედო შემდეგი დებულებანი: 1 წვრილ მეურნეთა თაოსნობის ფართე თავისუფლება; 2, ამ თაოსნობის წახალისება ტექნიკური დახმარებით სახელმწიფოს მხრი

სასურსათო კამპანიის მსვლელობა

სასურსათო გადასახადი.

სასურსათო კომისარიატის ცნობებით 3 იანვრისთვის, კამპანიის დაწყებიდან მოკრებილია: ხორბალი—4,338 ფ. 20 გ., ქერი—2,421 ფ., 21 გ., სიმინდი—1,006 გ., 5 გ., ფეტვი—43 ფ., 30 გ., კართოფილი—8,130 ფ., 4 გ., ლობიო—101 ფ, 37 გ., ხახვი—289 ფ., 4 გ., ქარხალი—6 ფ., 7 გ., ვაშლი—154 ფ., 10 გ., მხალი—3 ფ., 30 გ, ერბო—30 ფ., 32 გ., ყველი—94 ფ, 6 გ., ხორცი 168 ფ., 13 გ., მაწყლი—55 ფ., 23 გ.

საფქვავზე გადასახადი.

ხორბალი—35 ფ, 13 გ., ხორბლის ფქვილი—35 ფ., 13 გ., ქერი—257 ფ., 37 გ., ქერის ფქვილი—123 ფ., 13 გ., სიმინდი—53 ფ, 29 გ., სიმინდის ფქვილი 115 ფ., 4 გ.

საქონლის გადაცვლით.

25 დეკემბრიდან 31-მდე ადგილობრივმა სასურსათო ორგანოებმა დაამზადეს საქონლის გაცვლით: ხორბალი მარცვლით—579 ფ., 36 გ., ქერი—752 ფ., 29 გ., სიმინდი მარცვლით—2,689 ფ., 39 გ., ფეტვი—46 ფ., ლობიო 201 ფ., 8 გ.

ამიერ-კავკასიის რკინის-გზები

გაერთიანების შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზები კარგა ხანს კიდევ ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა მიერ სესხის სახით მოცემულ სუბსიდიით არსებობდა. ახალი ტარიფების შემოღების შემდეგ ყველა სესხი ანაზღაურებულ იქნა და ეხლა რკინის გზა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ შემოსავლით არსებობს. სულ უმნიშვნელო თანხა მისცა ამიერ-კავკასიის რკ. გზას რ. ს. ფ. ს. რ. გზათა კომისარიატმა, მაგრამ სამაგიეროდ რკინის გზა საგრძნობლად დაეხმარა მას მის ხელში სრულიად უსასყიდლოდ გადმოსულ მასალებით.

ამ ჟამად, მანამ დაწესებულებათათვის რკ. გზით ტვირთის გადაზიდვაზე ფასი დაწესდება, ამიერ-კავკ. რესპუბლიკებმა იკისრეს თვეში 40 მილიარდი აძლიონ რკ. გზას ქაღალდის ფულით. მაგრამ თავისი ხარჯების უდიდესი ნაწილი რკ. გზამ საკუთარი შემოსავლით უნდა დაფაროს, რადგან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სუბსიდია 15 მილიარდს არ აღემატება (საქართველო 4 მილიარდი, აძერბეიჯანი—11 მილიარდი). მართალია, მოსკოვის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ იგი გადაიხდის თითო მოსამსახურეზე 300,000 მან., ე. ი. 7 მილიარდს (ამიერ-კავკ. რკ. გზ. მტკიცე შტატი 25,000 კაცს უდრის), მაგრამ ნახევარი ხარჯი თვით რკ. გზამ უნდა დაჰფაროს. თუმცა კი უსახსრობა შეუძლებელს ხდის უსაჭიროეს სამუშაოთა შესრულებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რკინის გზას დიდი ზარალი მოსდის სხ. და სხ. რესპუბლიკების ფულის კურსის სხვადასხვაობის გამო. იმ რესპუბლიკებში, სადაც ფულის კურსი დაბალია, ტარიფიც დაბალი გამოდის, რადგან ტარიფი ერთნაირია: მაგ. ბაქოდან თბილისში მომავალი მგზავრი, რადგანაც ბილეთის ფასს პირველი იხდის აძერბეიჯანის ფულის ნიშნებით, რომლის კურსიც უფრო დაბალია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მაგ., მარტო ერთ „კასპიის სათევზაოთა სამმართველო“ ყოველდღიურად 100 მილიონ მანეთამდე იხდის აძერბეიჯანის ფულით. ამას გარდა, დაღესტანში, საშუალ-პეტროვსკის ხაზზე აძერბეიჯანის ფული სრულიად არ გადის, მაგრამ მგზავრები და ტვირთის პატრონები ამ ფულით იხდიან ფასს და მოსამსახურეებსაც აძერბეიჯანის ფულს ვაძლევთ. ამან გამოიწვია მოსამსახურეთა მასიური დეზერტირობა, რომელნიც ბაქოში მიდიოდნენ აძერბეიჯანის ფულის რუსეთის ფულზე გადასაცვლელად. განზრახული იყო ყოველ რესპუბლიკაში სხვა და სხვა სარკინიგზო ტარიფის შემოღება ადგილობრივ ფულის ოფიციალურ კურსის მიხედვით, მაგრამ კავბიურომ ეს შესაძლებლად ვერ სცნო.

1922 წლისთვის შედგენილია აღრიცხვა ოქროს მანეთებით 1914 წ. კვალობაზე. ამიერ-კავკასიის რკინის გზების შემოსავალი 28 მილ. მან. ნაანგარიშებია, გასავალი—17 მილ მან. მაგრამ ასეთი მოგების მისაღებად საჭიროა ტარიფები ოთხზე მეტჯერ გადიდდეს, რადგან ტვირთის გადაზიდვის შემოსავალი ნაანგარიშებია 1917 წ. ტარიფის მიხედვით, მაგრამ ოქროს მანეთებში.

ექსპლოატაციის დარგში შემოღებულ იქნა გეგმიანი გადაზიდვანი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამაში გეგმას ვერ იცავენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაწესებულებანი ზედმეტ ალაგს თხოულობენ ტვირთის გადასაზიდათ! ამას გარდა სასურსათო კომისარიატი და გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კავშირი რიგს გარეშე გზავნიან დიდძალ ტვირთს.

რკინის გზამ მუშაობა გააძლიერა. მაისში განვლილ იქნა 4.872 ათასი ვერსი, ივნისში—5,855 ათასი, ივლისში—4,908 ათასი, აგვისტოში—6,464 ათასი, სექტემბერში—6,270 ათასი და ოქტომბერში—6,514 ათასი. მატარებლების კომერციული სისწრაფე ასეთი იყო: სამგზავროთა—17 ვერსი საათში, სამხედროთა—13,6 ვერ., საბარგოსი—11,6 ვერ. საერთოდ, არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა, რომ რკინის გზას უარი ეთქვას ტვირთის გადაზიდვაზე. ხოლო გეგმის გარეშე გადასაზიდი ისეთი საგნები, როგორიც მაგ., მანქანის ზეთი, მარგანეცი, პური და სხ., ვადაზე ადრე მიდიოდა დანიშნულებისამებრ.

განზრახულია 1922 წ. მოვუმატოთ: ბათუმ—ბაქოს გზაზე ერთი წყვილი სამგზავრო მატარებელი დღეში. თბილისი—ერევნის ხაზზე—ერთ ნახევარი წყვილი და ბაქო—პეტროვსკის ხაზზე—ერთ ნახევარი წყვილი სამგზავრო-საბარგო მატარებელი.

1922 წლისთვის გადაზიდვის გეგმა ისეა შემუშავებული, რომ 1 ნახ. მატარებელი მეტი უნდა აღმოჩნდეს.

სამგზავრო მიმოსვლის გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საპროტექციო ვაგონებით სარგებლობას შევამცირებთ. გადაწყვეტილია 1922 წ. ცხოვრებაში გავატაროთ ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლობის თათბირზე მიღებული დადგენილება, რომ ლიტერებით სარგებლობა 85 პროც.-ით შევამციროთ.

ვაგონები ეხლა 40 პროც. ნაკლები გვაქვს, ვიდრე ომამდე. 723 ორთქლმავლიდან 475 შესაკეთებელია. მატარებლის შეკეთებაზე სერიოზული ყურადღება მიქცეული და მიღებულია ზომები, რომ სალი მატარებლების ახლანდელი რიცხვი—248 მომავალ წელს არ შემცირდეს. განზრახულია 1922 წ. დეპოსი და სახელოსნოების გაუმჯობესება. მათი ომამდე ყოფილ მდგომარეობამდე ასაყვანად საჭიროა 2 ნახ.—3 წელი. გაფართოებულ იქნება აგრეთვე ქუთაისის დეპო. რემონტის გაძლიერება რკინის გზათა შემოსავლის გაძლიერებაზეა დამოკიდებული. განვლილ წელს დიდი სამუშაო იქმნა შესრულებული წყლის მომარაგების გასაუმჯობესებლად 1921 წ. საჭირო იყო 1,100,000 შპალის გამოცვლა, შევძელით მხოლოდ 80,000 გამოცვლა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრით კახეთის და შავი ზღვის ხაზები, სადაც საჭიროა სულ ერთიანად გამოიცვალოს შპალები. 1922 წ. საჭირო იქნება 1,600,000 შპალის გამოცვლა, სულ უკანასკნელი კი—800,000-ისა. განვლილ წელს აღდგენილ იქმნა გრაკალის, ყვირილის და რიონზე ორი ხიდი. 1922 წელს გაგრძელებული იქნება მუშაობა ხიდების აღსადგენად. დიდი სამუშაო შესასრულებელი ლიანდაგის დასატკეპნათ. გადაწყვეტილია აღდგენილ იქმნას გორის, ბელიცის (აძერბ.) და ნახიჩევანის სადგურები; დასრულებული იქნება სადოგნი—ბაბლინსკიდან თევზის საზიდ ტოტის გაყვანა 46 ვერსის მანძილზე.

1921 წ. გაყვანილ იქმნა რამდენიმე ალაგას ლიანდაგი ხეტყის გადმოსაზიდათ. 1922 წ. განზრახულია ალაზნის ლიანდაგის გაყვანა (15 ვერს.). ეხლა აღდგენილია სატელეგრაფო კავშირი ჯულფამდე და გაძლიერებულია მავთულები საქართველოს სამხედრო გზაზე.

ცალკე უნდა გამოიყოს ერთი საკითხი—სამსახურის ასრულების დროს დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. რკ. გზათა სამმართველომ ზომები უნდა მონახოს ამ საკითხის სამართლიანად გადასაწყვეტად.

უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, ყველა გაუმჯობესებათა განხორციელება სამეურნეო საფუძველზე გადასვლაზეა დამოკიდებული; ყოველგვარი გადაზიდვა, გარდა სამხედროსი, ფასიანი უნდა იყოს.

(„საქართველოს მეურნეობა“).

დან; 3) სამეურნეო განვითარების მოწესრიგება ეკონომიური და არა იძულებითი ხასიათის ზომებით; 4) ყველა სამეურნეო მიზნების ჩამოყალიბება წარმოებითი გეგმაში; 5 სამეურნეო თაოსნობის გამაგრება ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო მოთხოვნებით. შემდეგ, თესვის გეგმის შესახებ, რეზოლიუცია მხარს უჭერს მის, როგორც საერთო წარმოებითი გეგმის ჩანასახის, შენარჩუნებას მომავალი წლისათვისაც. მაგრამ თესვის გეგმა არ უნდა ზღუდავდეს გლეხობის სამეურნეო თაოსნობას („ბედნოტა“, № 1058).

ამასთან სრული შეფარდებით, ჩვენი უახლოესი მიზნები საადგილ-მამულო პოლიტიკის სფეროში შემდეგი ძირითად დებულებებში გამოიხატება:

1) მიწის მტკიცე ნორმების გამომუშავება და დაწესება;

2) მიწადმოწყობის დამთავრების დაჩქარება, რათა მოისპოს არევ-დარევა საადგილ-მამულო ურთიერთობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და განვითარება;

3) მიწის იჯარის საბჭოთა წყობილების დროს არ შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ეს ენიშნებოდა ნაბიჯი უკან, მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენისაკენ, მაგრამ დროებით დასაშვებია იჯარით გაცემა მეუძლო გლეხების მიერ თავიანთ თავისუფალ ადგილებისა, როდესაც ამა თუ იმ საპატიო მიზეზების წყალობით გლეხები ვერ შესძლებენ სავსებით დაამუშავონ თავისი მიზომილი მიწა; ასეთ მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს ყოველი გლეხის ოჯახი, სტიქიურ და სხვა უბედურებათა გამო და ამიტომ თავის მეურნეობის აღსადგენად ასეთ შემთხვევებში შეიძლება იჯარა დროებით დაშვებულ იქნას, მაგრამ უეჭველად სათანადო საადგილ-მამულო ორგანოს კონტროლ ქვეშ;

4) დაქირავებული შრომა სასოფლო მეურნეობაში ჯერჯერობით უნდა იქნეს დაშვებული, ვინაიდან სანამ კოლექტივიზაცია არ არის გატარებული მიწადმოქმედებაში, ის გლეხურ მეურნეობაში აუცილებელი იქნება, მაგრამ ის სასტიკად უნდა იქნას მოწესრიგებული სახელმწიფოს მიერ;

5) სასოფლო მეურნეობის კულტურის ასაღორძინებლად, გლეხურ მეურნეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა გატარების დროს, ყოველნაირად უნდა გაურბოდეთ იძულებით მეთოდებს, საჭიროა ვიმოქმედოთ მხოლოდ და მხოლოდ დამარწმუნებელი ზომებით, პრაქტიკული საჩვენებელი გამოცდილებით და სხვა;

6) საცდელ-საჩვენებელი სადგურების ქსელის ორგანიზაცია, რომლებიც პირველ რიგში უნდა შეუდგნენ სასოფლო მეურნეობის მომწიფებულ საკითხების გადაჭრას;

7) ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

ეჭვი არ არის, რომ მიმდინარე ხანაში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს ერთ მნიშვნელოვან პირობათაგანს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განსავითარებლად. კოოპერაცია უნდა გავრცელდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და გასაღების დარგშიაც, მელიორაციის და განსაკუთრებით ელექტროფიკაციის სფეროშიაც. გლეხების ორგანიზაციის გზით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებში სულ მოკლე დროში შესაძლებელია მივაღწიოთ გლეხურ მეურნეობის საგრძნობ ამაღლებას, ერთი მხრივ და ავიცილოთ საშიშროება, რათა ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობა არ მოექცეს სოფლის ბურჟუაზიის გავლენაში, მეორე მხრივ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში წვრილ გლეხობას შეეძლია გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა უმთავრესად შეკავშირების, კოოპერაციის გზით.

8 უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენში საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო მომავალში, კარგი ორგანიზაციის წყალობით, საქმის საზრიანი წარმართვის მეოხებით, ისინი უფრო მეტ როლს შეასრულებენ. საბჭოთა მეურნეობებმა ორგვარი როლი უნდა ითამაშონ: პირველი, მათ სახელმწიფოს უნდა მისცენ შემოსავალი, სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახით, რომელთაც აქვთ სავალიუტო ხასიათი; და მეორე, ისინი აგრეთვე უნდა წარმოადგენდენ საჩვენებელ დაწესებულებებს გლეხურ მოსახლეობისათვის. ამ უკანასკნელი მიზნისათვის ჩვენს სამეურნეო საბჭოებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, და ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა მეურნეობები უნდა მოეწყოს ახალი ეკონომიურ პოლიტიკის მოთხოვნებთან შეფარდებით, ამასთან მიზანშეწონილი იქნებოდა წვრილი ნაკლებ შემოსავლიანი მეურნეობები გვეცა სხვა და სხვა კოლექტიურ ან პროფესიულ ორგანიზაციებისათვის მათი სარგებლობაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კერძო პირებისათვის.

9) სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უნდა მიისწრაფოდეს გეგმიანი თესვის გატარებისაკენ ერთი მხრივ და ებრძოდეს დაუთესველობას მეორე მხრივ, ამასთან სრულიად არ უნდა მიმართავდეს იძულებითი ზომებს.

10 ყველა ამ საკითხების, განსაკუთრებით მიწადმოწყობის და მიწადსარგებლობის საკითხების განსახილველად უნდა მოვიზიდოთ თვით გლეხობის წარმომადგენლები, სხვა და სხვა რაიონებისა და მაზრებიდან. ყველა პროექტები, რომელნიც ეხებიან მიწადმოწყობას და მიწადსარგებლობას, საკითხები, რომელნიც ეხებიან გლეხურ მეურნეობას,—წინასწარ უნდა გადაეცეს გლეხებს განსახილველად, ან პრესის საშუალებით ან ამ მიზნით საგანგებოდ მოწვეულ თათბირებზე. საჭიროა, რომ გლეხებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ყველა ამ საკითხების განხილვაში, გამოსთქვან თავისი აზრი, კრიტიკის თვალით შეხედონ სამთავრო ხელისუფლების ამა თუ იმ მოსაზრებებს სასოფლო მეურნეობის სფეროში, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნან საბოლოოდ მიღებულნი ესა თუ ის პროექტები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდე ასეთი პრაქტიკა არ ყოფილა, გლეხის ხმა არ ისმოდა, ყველაფერი რაც შეეხებოდა მას, თუმცა მის სასარგებლოდ კეთდებოდა, მაგრამ იგი მონაწილეობას არ ღებულობდა. უნდა მივიღოთ ზომები, რათა მომავალში ამას ადგილი არ ექნეს.

11) დასასრულ, ვინაიდან ჩვენში სასოფლო-სამეურნეო განათლება ფრიად დაბალ დონეზე დგას, და იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურა ჩვენში ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფება,—საჭიროა მივიღოთ ზომები: პირველი აგრონომიულ ძალების გასამრავლებლად ქვეყანაში, მეორედ, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, საცდელ-საჩვენებელი სადგურების, აგრეთვე „საპროკატო“ პუნქტების და შემკეთებელ სახელოსნოების მთელი ქსელის შესაქმნელად, და, მესამე, პოპულიარულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის შესაქმნელად, გლეხებისათვის მისაწვდომ, „ბედნოტა“-ს ტიპის გაზეთის გამოსაცემად და სხვა.

ყველა ამ ღონისძიებათა თუნდაც ნაწილობრივად გატარებით ჩვენ მივაღწევთ სასოფლო მეურნეობის სწრაფი აღორძინებას. ახლა საჭიროა არა თეორიები, არა განყენებული მსჯელობანი, არამედ პრაქტიკული ღონისძიებანი, განყენებულ მსჯელობათა დრომ განვლო, დადგა პრაქტიკულ მოქმედების დრო ამაშია საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

ფ. მახარაძე.

მოსკოვი, დეკემბერი

წითელი ცეცხლი

I

გლოვის ღიმილებს წამოისხამს ქვეყანა ძველი,
საშიშროების მოლოდინში ვინ დაიძინებს!..
ფათერაკის ჟამს მას დასტოვებს ერთგული მცველი,
ვნახავ გადაყრილს უპატრონოთ მეფის გვირგვინებს,
ხელს ჩამოვართმევთ ჩვენს მეგობრებს, ფოლადს და რკინებს,
ვიტყვით სიმღერას, გამარჯვება ჩვენში იცინებს...

II

წითელი ცეცხლის ვინ გაზომავს სივრცე ნაპირებს?..
იელვებს ბნელში გაანათებს როგორც ტალკვესი,
მზე დაბნელდება, უკანასკნელ მთვარეც იტირებს,
ამოვა მათზედ ორთავეზედ უძვირფასესი
წითელი ფერის ვარსკვლავები სისხლში ნალესი,
იქნება უფრო წარმტაცი და უბრწყინვალესი

III

ძველის მასპინძელს ქარვასლები ბნელ სარდაფიდგან:
„სტუმრებს აშინებს სრასასახლის ეს მყუდროება“
მაგრამ წითელ ცეცხლს ვინ გაასწრებს გრილ სარდაფიდგან?
არის ოცნება სინამდვილე საწუთროება,
ჰალო მოძვრება. ზედ მონობის ჯაჭვი რო ება,
უკან გაჰყვება საუკუნე, ძველი დროება

დორბელი.

პატარა ფელეტონი

ახალი ეკონომიური პოლიტიკა

შალიკო! შენ მთხოვ, რომ ამ ახალ წელში მაინც აგიხსნა, თუ რა არის ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელზედაც წერით და ლაპარაკით ყურები გამოგვიჭედეს ძველი წლის განმავლობაში და რომელმაც ლამის არის ტვინი აგიბნიოს!

ლამის არის კი არა უკვე აუბნევია შენთვის ტვინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას!

თუ ეს ასე არ იყოს,—შენ მე კი არ მომმართავდი განსამარტებლად არამედ სხვას ვისმეს მოძებნიდი, ამ საკითხის ზედმიწევნით მცოდნეს.

თუ მისი ავტორი ლენინი შორს არის და იქამდი ხელი არ მიგიწვდება, თუ ფილიპე მახარაძე დროებით მოშორებულია,—რადგან კალაძე ხომ ჯერ აქ არის,—იმას მაინც მიგემართავდი, შე კაცო!

მაგრამ რადგან ჩემზე უკეთესი ვერავინ გიპოვნია, ვეცდები განგიმარტო,—ჩემებურათ, რა თქმა უნდა.

წინდაწინ გაფრთხილებ კი ცხონებული ბებ აკიბას სიტყვებით: „არაფერია მთვარეს ქვეშ ახალი,—ყველაფერი ყოფილა, ყველაფერი მომხდარა“.

მხოლოდ ორთქლმავალის, ელექტრონის და ჰაეროპლანების დროს სუყველაფერს თავისი ელფერი ადევს, ვიდრე ნუგზარ ერისთავის დროს.

მე მაგალითებით მოგცემ განმარტებებს,—თეორიის არაფერი გამეგება,—შენთვისაც ეს უფრო მისახვედრი გაკვეთილი იქნება.

მაშ ყური მიგდე:

ჯერ თუ არ მიგიღია—ამ დღეებში უსათუოდ მიიღებ ქალაქის კომუნალურ განყოფილებისაგან რაღაც ორიოდე მილიონი მანეთის ანგარიშ—განათების, წყლის და სხვა წვრილმან ხარჯებისას შენს ახალ ბინაზე,—ცხრა თვისას ერთად.

მართალია, რვა თვის განმავლობაში შენ დიდი დავა და ჯავრი გქონდა საბინაო განყოფილებასთან ამ ბინაზე ჩასახლების შესახებ, მაგრამ სულ უნაყოფოთ! მხოლოდ ამ ერთი თვის წინად, როდესაც ის გაუქმებულ იქნა, მოახერხე ბურჟუის გამოსახლება და შენი ჩასახლება შიგ; ამიტომ ეს გადასახადი შენ არ გერგება სამართლიანად, მაგრამ უკეთუ სამი დღის განმავლობაში არ გადიხდი—მოგიჭრიან ელექტრონის მავთულს, დაგიკეტავენ წყალს და დაგაჯარიმებენ კიდევაც!

აი, ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის! რომელიმე კინტოს მობეზრდა თავით მძიმე თაბახის ტარება მაღაზია რომ დაიქირაოს—ამის თანხა ჯერ ვერ შეუგროვებია. ამიტომ მოაფინა ლობე.—როგორც არის ეს ალექსანდრეს ბაღის გასავალთან მადათოვის ქუჩაზე,—და [illegible] ზედ თავისი სავაჭრო. როდესაც [illegible] ბლომად ფულებს, შემდეგ დაიქირავებს მაღაზიას და ქალაქის კომუნალურ განყოფილებას შემოსავალს მისცემს.

ესეც ახალი ეკონომიური პოლიტიკაა! გუშინ ზოგი რამ ნივთების ყიდვა შეიძლებოდა, ვთქვათ, ათას ხუთას მანეთად, ორი ათას ხუთასათ, ან სამი ათას ხუთასათ, დღეს კი ღირს ორი ათასი, სამი ან ოთხი ათასი მანეთი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენმა ფინანსთა კომისარიატმა ერთი კალმის მოსმით დაბრაკა ათას მანეთიანზე ნაკლები ბონები.

წარმოიდგინე შენ,—ეს მეც არ ვიცოდი: ამასაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჰქვიებია!

ხუთას მანეთიანის დაბეჭდვა იგივე ღირებულა, რაც ათასიანის. მაშ რატომ ვბეჭდოთ ხუთასიანები, ათასიანები არა სჯობიაო,—უფიქრია კომისარს, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, რას ერჩოდა უკვე დაბეჭდილებს? ალბათ ვაჭრების ჯინი თუ ამოიყარა! ნუგზარ ერისთავის დროს აბა რომელი მეფის მოლარე მოიფიქრებდა ასეთ ეშმაკობას!

გიდგას ბინაზე ყრუ და მუნჯი ტელეფონი. გინდა მისი განკურნება და ამ მიზნით არა ერთხელ მიგიმართავს ყრუ მუნჯთა უმთავრეს დოსტაქარ ყამარაულისათვის, მაგრამ ამაოთ. გადის თვეები. შენი ყრუ-მუნჯი ტელეფონის ნომერი შენც დაგავიწყდა და შენს ნაცნობ მეგობრებსაც. მაგრამ მისი არსებობა არ დავიწყებია ფოსტა ტელეგრაფის გამგეობას, რომელიც გიდგენს ანგარიშს ცხრა თვეს ტელეფონით სარგებლობისთვის, თუმცა შენ არც ერთხელ არ გისარგებლნია იმითი.

ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკაა, რომელიც ამბობს, რომ ქვას უნდა გამოადინო ზეთი, თორემ ჰყინტ ყველს ყველა ნაცარ-ქექია გამოადენს წვენსო.

თუ რკინის გზით გინდა სადმე წასვლა—ერთი რაიმე საბუთი და ორი გატენილი საფულე ჩაიდე ჯიბეში—ერთი ჯიბგირისთვის, მეორე სახარჯოთ: მე შენ გითხრა არ დაგჭირდება! სადგურში შესვლაზე უნდა მისცე, ბილეთში უნდა მისცე, ამ ბილეთის ამღებს უნდა მისცე, ბაქანზე გასვლაზე უნდა მისცე, ვაგონში შესვლაზე უნდა მისცე, კუპეში შესასვლელი უნდა მისცე, პარმახში თუ გაჩერდი, ამისთვისაც უნდა მისცე,—ასე რომ საფულე კარგათ გატენილი უნდა გქონდეს, თორემ ვაგონიდან გამოსასვლელათ არაფერი დაგრჩება მასაცემი,—ეს კი უმთავრესი საქმეა!

მაგრამ ეს არ არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა,—რკინის გზის გაჩენიდან თან დაყოლია ასეთი ჩვეულება. ახალია მხოლოდ ის, რომ მატარებლის შემადგენელ ცამეტ ვაგონში თორმეტი საგანგებოა, რომლებშიაც საგანგებო ხალხი ზის, როგორიც არიან: სამხედრო რევიზორი, რკინის გზის რევიზორი, საოლქო რევიზორი, ნაწილის რევიზორი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზორი, საგანგებო კომისიის რევიზორი, სატრანსპორტო რევიზორი, ჩვეულებრივი რევიზორი და არაჩვეულებრივი რევიზორი, რკინის გზის მილიცია, სამხედრო მილიცია და ბოლოს მოსამსახურეთა ბრიგადა. ხოლო მეცამეტე ვაგონი შეადგენს მგზავრების მოსათავსებელს, მაგრამ რადგან ეს რიცხვი კვიმატიანია, ამიტომ ამ ვაგონში შესვლა და გამოსვლა მუდამ მარცხიანია!

მეცხრე სხდომიდან, რომელზედაც ირჩეოდა ფრიად საყურადღებო საკითხი და რომელიც სულერთია სისრულეში არ იქნება მოყვანილი,—შენ არაქათ გამოლეული მიდიხარ სახლში ბენცელ-ბენცელით, იღლიაში გირვანქა პური ამოჩრილი. მოქრის ავტომობილი, რომლიდანაც პატარა ფისია ისეთი ამაყი გამომეტყველებით გადმოიყურება, რომ შენ უნებლიეთ გზას უთმობ, მიუხედავათ იმისა, რომ ისედაც კედელ-კედელ მიდიოდი!

ეს სპეცის, ან კონცესიონერის ოჯახობა მიქრის. ამბობენ, ესეც ახალი ეკონომიური პოლიტიკა არისო. მაგრამ მე კი მგონია, რომ ეს განახლებული ძველი ამბავია!

ამით ვათავებ ჩემო შალიკო, ჩემ ახსნა განმარტებას, თორემ მგონი ჩემი ტვინიც რაღაცნაირათ იმაშობა...

თუ ის გაზეთი არ ჩაგივარდეს ხელში, რომელშიაც ეს წერილი იქნება მოთავსებული, იცოდე—ესეც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ბრალია, რომელიც შემოღებულია ახალი წლიდან ბეჭდვითი სიტყვის დარგშიაც.

შენი ხ. თ—ია.

* * *

ქრონიკა

◆ **ვასო აბაშიძის იუბილე** გრანდიოზულ სახეს იღებს. საიუბილეო კომიტეტს ცნობები მოსდის როგორც ადგილობრივ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან, ისე პროვინციის ქალაქებიდან, რათა საშუალება მიეცეთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მხცოვან მსახიობის დღესასწაულში.

— გუშინ რუსთაველის თეატრში შესდგა ყველა თბილისში მყოფ რეჟისორების კრება, სადაც გამომუშავებულ იქნა იუბილეს დღის ცერემონიალი.

— რეჟისორი კონ. ანდრონიკაშვილი უკვე შეუდგა პიესა „გაყრა“-ს მზადებას, რომელშიაც გარდა იუბილიარისა მონაწილეობას მიიღებენ განსაკუთრებით ჩვენი დამსახურებული მსახიობნი.

— ჟურნალისტ შ. ამირეჯიბმა უკვე დაასრულა იუბილიარის ბიოგრაფია, რომელიც დასურათებული ცალკე წიგნაკად გამოვა იანვრის 15-ს.

— იუბილეს შესახებ ყოველგვარ ცნობების გაგება შეიძლება რუსთაველის თეატრში, მსახიობ ვ. ჯიქიასთან 11—3 საათამდე.

◆ **ახალი საზოგადოება.** დაარსდა ახალი საზოგადოება „თბილისის ბიბლიოგრაფიული საზოგადოება“, რომლის საორგანიზაციო სხდომაზე 4 იანვარს განხილული და დამტკიცებული იქნა საზოგადოების წესდება და დაარსებული იქნა გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია პროფ. ს. ლ. ავალიანი, და წევრებად—ვ. ლ. ბროსსე, ლ. მ. მელიქსეტბეკოვი, გ. ფ. ჩურსინი, პროფ. პჩელინი, ი. ი. სევასტიანოვი და ა. ფლაისტერი. მოეწყო სექციები: ისტორიული, საზოგ.—ეკონომიურ მეცნიერების, მხატვრულ ლიტერატურის და ხელოვნების.

◆ **გორის აღდგენა.** შინ. საქმ. სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი გორის აღდგენის შესახებ დამტკიცებულ იქნა საქართველოს რევკომის მიერ.

◆ **ტრამვაის ხაზზე მიმოსვლის აკრძალვა.** საქ. კომ. მეურ. მუშათა ცენტრ. გამგ. პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა ქალ. აღმასკომის წინაშე სავალდებულო დადგენილების გამოშვების შესახებ, სადაც აკრძალული უნდა იყოს ყველა ავტომობილის და სხვა კერძო ეტლებისათვის მიმოსვლა ტრამვაის ხაზებზე.

◆ **სოფლის მცხოვრებლებთა კვების გამორკვევა.** სოფლის საჭიროების და მისთვის ქალაქიდან პროდუქტების მოწოდების შესაძლებლობის გამოსარკვევად ცენტრ. სტატ. სამართველოს მიერ გამომუშავებულია ბლანკი საქართველოს სოფლისმცხოვრებთა კვების მიმოხილვის დაწვრილებითი ანკეტისა. ამ ანკეტის დამუშავების დროს გამოყენებული იყო რუსეთის მასალები და გამოცდილება. დღეს კი ცენტრ. სტატ. სამართველო აწარმოებს მოლაპარაკებას განათლების სახ. კომისარიატთან განზრახულ მიმოხილვის ჩატარების შესახებ.

თეატრი და ხელოვნება

დანტეს ხსოვნის აღნიშვნა

ხუთშაბათს, 14 იანვარს საქართველოს მწერალთა კავშირი, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ., № 13) მართავს მერვე ლიტერატურულ ხუთშაბათს:

ალიგიერი დანტე

სიტყვებს წარმოსთქვამენ: კოწია გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, კოკი აბაშიძე.

მოწვეულნი არიან სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ბილეთები იყიდება მწერალთა საბჭოს მდივანთან, ხელ. სასახლეში, 12 დან 1 საათამდე.

დღეს თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა—ბალეტი კარნავალი. **რუსთაველის თეატრი**—„სინათლე“, ქართული წარმოდგენა. **მცირე თეატრი**—უდანაშაულოთ დამნაშავენი. **რევ-მხატვრული თეატრი**—რახილის გოდება. **სახალხო სახლი**—ფაუსტი. **საკამერო თეატრი**—დიდი საბავშვო წარმოდგენა—„გამზრდელი“. საღამოთ—სომხური წარმოდგენა. **ცენტრალური მუშათა კლუბი**—სვასსკის ლექცია. კონცერტი. **ც. მ. კ. ახალი თეატრი**—[illegible] მე-3 სერია. **კარლ მარქსის სახელობის თეატრი**—სომხური წარმოდგენა. **საქართველოს წითელ არმიის ცენტრალური კლუბი**—ქართული წარმოდგენა. **კონსერვატორია**—კონცერტი. **ცირკი**—მრავალფეროვანი პროგრამმა.

კინო თეატრები:

მინიონი (პროფკავშირთა საბჭოსი)—მტარვალის ულელს ქვეშ. **აპოლლო** სახ. განათლების კომისარიატისა—[illegible] მე-2 სერია. **არტისტი**—კალიფორნიის გმირი. ოქროსა და სიყვარულის ძიება. **ალკრე**—კინო-კომედია. **ჩერქეზიშვილის ქუჩის კინო**—კინო კომედია. **სარკის კინო**—ერთი დამცირების ისტორია.

* * *

მუშათა მთლიანი კოოპერატივი

კოოპერატივის პური.

დღეს თბილისში მუშაობს კოოპერატივის 2 პურის საცხობი. მუშაობის დაწყებიდან ე. ი. 1922 წლ. 1 იანვრიდან გამოცხობილია 50.550 ფ. 35 ნახ. გ. პური.

საამშენებლო-შემკეთებელ სახელოსნოები.

მთ. მუშ. კოოპერატივის საამშ.-შემკ. სახელოსნომ ჩაატარა ყოველგვარი შეკეთება 34.175.500 მანეთის ღირებულების. მათი ღირებულება ბაზრის ფასებზე რომ გადავიყვანოთ უდრის 65.533,000 მან.

ყავის დამზადება.

საწარმოო განყოფილების მიერ დეკემბერში მოეწყო ყავა „სმესის“ წარმოება, ყავა მზადდება ქერის, სოია და ნატურალური ყავის რამოდენიმე ხარისხიდან, იანვრამდე დამზადებულია 110 ფუთი ყავა.

მელანის და გუმიარაბიკის დამზადება.

საწარმოო განყოფილების მიერ პირველ იანვრამდე დამზადებულია 5 ფუთი მელანი. დღეისდღეობით მზადდება 1 ნახ. ფ. გუმიარაბიკი

ფეხსაცმელების სახელოსნო.

მთ. მუშ. კოოპერატივის ცენტრალურ კონტორასთან მოეწყო ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც 39 კაცი მუშაობს. განზრახულია ს. პ. კ. ს. განყოფილების გაწესრიგების თანახმად შეკეთება პროფკავშირებისათვის 1200 [illegible] ფეხსაცმელებისა თვეში. პირველ ხანებში სახელოსნო ფეხსაცმელების შეკეთებას აწარმოებს და მომავალში კი კოოპერატივს განზრახული აქვს ფეხსაცმელების ფაბრიკაციის მოწყობა.

მთ. მუშ. კოოპერ. პლაკატები.

კოოპერატივის საორგ. განყოფილება ამ დღეებში მოაწყობს პლაკატების გამოკვრას. პლაკატებში მოყვანილი იქნება ცნობები კოოპერატივის მუშაობის შესახებ.

მთლ. მუშ. კოოპერატივის მაღაზიები

დღეს დღეობით თბილისში გახსნილია და ოპერაციებს აწარმოებს მთ. მუშათ. კოოპერატივის მუშ. 9 მაღაზია.

დამზადების განყოფილებაში.

მთლიან მუშ.-კოოპერატივის დამზადების განყოფილების გასულ დეკემბერში გაწეულ მუშაობაში აღსანიშნავია: ცენტრ-კავშირისაგან 2 ვაგონი თევზის შესყიდვა. ხელშეკრულება კონტრ-აგენტ ოთაროვთან ღორის ხორცის 500 ფუთის დამზადების შესახებ, ხელშეკრულება ცეკავშირთან ამ ხორციდან შაშხის, ქონის და სხვ. პროდუქტების დამზადების შესახებ, ხელშეკრულება შეშის 39 კუბ. საჟენის დამზადებაზე საქონელზე გაცვლის პირობით, მისყიდვა იტალიის მოქალაქე [illegible]კომისათვის გორის კოოპერატივიდან შესყიდულ 600 ფ. ვაშლისა საზღვარგარეთ გასაგზავნად, მიღება სურს. სახ. კომისარიატიდან 532 ფ. თევზის საკომისიოდ, 200 გალაქულ ტყავის მიღება საზღვარგარეთელ ბაზარზე რეალიზაციისათვის გასინჯვის მიზნით.

შესყიდვა ბათომში.

დეკემბერში მთ. მუშ. კოოპერატივმა მიიღო ბათომიდან შემდეგი საქონელი, დამზადებული გამგეობის წევრის ერისთავის მიერ: 337 ფ. 30 გ. ფქვილი, შაქარი, 4 ფ. 5 გ. კანიფოლი, 18 ფ. ლილა, 6 ფ 30 გ. სადურგლო წებო, 43 ფ 25 გ. ქონი-კარაქი, 127 ფ. ქონი და 19 ფ. ბიაზი.

საპნის და სანთლის წარმოება.

მთ. მუშ. კოოპერატივის საპნის ქარხანა სრულიად არ მოქმედებდა, როდესაც გადავიდა კოოპერატივის ხელში. კოოპერატივის მიერ მოწყობილი მუშაობა დიდი ხნით ვერ გაგრძელდებოდა. ქარხანა რამოდენიმე დღე მუშაობდა და ნედლი მასალის უქონლობის გამო ისევ შეჩერდა. დამზადებულია მხოლოდ 22 ფ. საპონი. არ მუშაობს აგრეთვე მასალის უქონლობის გამო სანთლის ქარხანა, რომელმაც მხოლოდ 1 ფ. სანთელი დაამზადა.

* * *

წარმოებით პროფკავშირებში

მელითონეთა დელეგატების კონფერენცია.

მელითონეთა პროფკავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა მოიწვიოს დელეგატთა კონფერენცია 20 იანვარს მასზე გამგზავნ დელეგატის არჩევნები მოხდება წარმოებათა მუშების კრებებზე, 20 მუშა გზავნის ერთ დელეგატს.

კონფერენციის დღიური წესრიგი 1) კავშირის გამგეობის ანგარიში, 2) ლითონის განყოფილების ანგარიში, 3) არჩევნები სრულიად საქართველოს ყრილობისათვის და 4) მიმდინარე საქმეები.

„მელითონე“.

მელითონეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე 3 იანვარს მოისმინეს საკითხი თავიანთ ჟურნალის გამოცემის შესახებ. გადაწყდა შეუდგნენ ჟურნალის გამოცემას, რომელიც ყოველ მხრივ გააშუქებს კავშირის პროფესიონალურ ცხოვრებას ლითონის დამმუშავებითი მრეწველობის სამეურნეო აღმშენებლობაში. ჟურნალის სახელწოდება იქნება „მელითონე“ და გამოვა სამ თვეში ერთხელ. სარედაქციო კომისიაში არჩეულია ამხ. პრეობრაჟენსკი და მაშკევიჩი. „მელითონე“-ს პირველი ნომერი გამოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავზე.

პროფტექნიკური განათლება.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმის, ლითონის განყოფილების კოლეგიის და საზღვაო ცენტრალურ ტრანსპორტის გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა პროფტექნიკური განათლებისადმი სამეურნეო ორგანოების მიერ დახმარების აღმოჩენის საკითხი. აზრთა გაცვლა გამოცვლით გამოირკვა, საქმის მდგომარეობა კვალიფიციურ მუშათა მომზადების სფეროში არ არის სრულიად ნორმალური.

საჭიროა ყურადღების მიქცევის გაძლიერება საქარხნო სკოლის მოსწავლეობისადმი.

ვღებთ რა მხედველობაში, რომ სამეურნეო ორგანოები სხვებზე უფრო არიან დაინტერესებული უმთავრესად კვალიფიციურ მუშათა კადრის მომზადებაში, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება წინადადება მიეცეს კავშირის კულტურ განყოფილებას გამოიმუშაოს სასწრაფო წესით ანკეტა საქარხნო სკოლის მოსწავლეობის შენახვისა და სანიმუშო პროგრამა.

ეს ხარჯთ-აღრიცხვა და პროგრამა წარმოდგენილ უნდა იქმნეს მახლობელ გაერთიანებულ კრებაზე

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მელითონეთა შორის.

უკანასკნელ გაერთიანებულ კრებაზე კავშირის პრეზიდიუმისა და განყოფილებათა კოლეგიებისა დაადგინეს: მელითონეთა შორის წერა კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციისათვის დამყარდეს სამი თვე ვადა, ამასთანავე ამისათვის საჭირო 4 მასწავლებლის შენახვა იკისრა ლითონის და ცენტრალურ საზღვაო ტრანსპ. განყოფილებებმა.

უფლების დაკარგვის შიშით, და კავშირის დისციპლინის წესით, ყველა წერა კითხვის არ მცოდნე კავშირის წევრი ვალდებულია იაროს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლაში.

გაზეთი მუშებისათვის.

მელითონეთა კავშირის ეკონომიურ განყოფილებას, კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ლითონისა და საზღვაო ტრანსპ. განყოფილებათა კოლეგიებთან ერთად, წინადადება მიეცა ერთ კავშირში გაატაროს ყველა წარმოებაში მუშათა კოლექტიური ხელის მოწერა ადგილობრივ და სატახტო ქალაქის გაზეთებზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 120.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა დეპოზიტების შესახებ.

საღრიცხვო წესების შესახებ 1921 წლის აგვისტოს 10 თარიღითა და 66 №-რით გამოცემული დეკრეტის დასამატებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს ხაზინებს სადეპოზიტო თანხების გაცემა, მიღება და ანგარიშის წარმოება ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ გამოცემულ განკარგულებასა და ინსტრუქციებში აღნიშნულ წესით.

2. დეპოზიტად ჩაითვლება:

ა) საწინდარი, ბე და სხვა ყოველგვარი თანხა, რომელიც ხაზინაში შეაქვთ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ და კერძო პირთ სათანადო განმკარგულებელ მმართველობის ანგარიშზე ჩასარიცხად.

ბ) ქონების დაცვისათვის ზომების მისაღებად სათანადო ხაზინაში შეტანილი ფულის თანხები იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები იმ ჟამად იქ არ იმყოფებიან,—ვიდრე ეს მემკვიდრეები გამოცხადდებიან და გამორკვეული იქნება მათი უფლება:

და გ) გამოძიებასა და სამართალში მყოფ პირთაგან ჩამორთმეული ფულის თანხები.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული თანხების გარდა, ყველა სხვა დანარჩენი თანხა უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავლის ნაღდ ფონდში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. ხვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტ. მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. დეკ. 28
თბ. სასახლე.

დადგენილება № 121.

საქართველოს სოც საბჭ რესპ რევოლიუციონური კომიტეტისა. შრომის უნარის მქონე მცხოვრებთა სახწრაფო აღნუსხვის შესახებ.

ადგილობრივ, სოფლის მცხოვრებთა შორის, შრომისა და შარაგზით ტვირთ ზიდვის ბეგარის მოსაწესრიგებლად, გლეხობისათვის ამ ბეგარით დაკისრებული მოვალეობის შესამსუბუქებლად, ბეგარის განხორციელების დროს უფლების დარღვევისა და ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, აგრეთვე ამ ბეგარის თანასწორი განაწილებისათვის ცალკე მეურნეობათა შორის და შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა ბეგარისთვის მტკიცე ნორმების შესამუშავებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაზე, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, მოახდინოს მთლად რესპუბლიკაში შრომის უნარის მქონე სოფლის მცხოვრებთა და შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა აღნუსხვა.

2. დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სამაზრო და ადგილობრივ (სარაიონო და სასოფლო) რევოლიუციონურ კომიტეტებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს აღნუსხვის საქმის განხორციელებაში და დაუთმონ მას განკარგულებად საჭირო ტეხნიკური მომუშავენი.

3. უფლება ეძლევა შრომის სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების განვითარებისა და დასამატებლად გამოსცეს ხოლმე ბრძანება, ინსტრუქცია და ცირკულიარი.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წლ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 86.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

შრომის სასყიდლის ახალი ნორმის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ სატარიფო განაკვეთის შესახებ—1921 წლის მაისის 13 ს თარიღითა და 34 №-ით გამოცემული დეკრეტის სანაცვლოდ რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის წარმოებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყველა მუშა-მოსამსახურენი სატარიფო განაკვეთის მხრით განიყოფებიან შემდეგ ჯგუფებად:

პირველი ჯგუფი—სამთო-მადნო მრეწველობის წარმოებათა და ქარხანა „შროშა“-ს მუშა-მოსამსახურენი.

მეორე ჯგუფი—რკინის გზისა, წყალის ტრანსპორტისა, მეტალის მრეწველობის წარმოებათა, საფეიქრო ქრა-კერვისა, საჭმლის ქიმიურად დამზადებისა, ტყავისა, თამბაქოსი, პოლიგრაფიულისა, საამშენებლო და ხის ნაკეთობის მრეწველობის მუშა მოსამსახურენი, აგრეთვე ადგილობრივი ტრანსპორტისა, წყალსადენისა, ელექტრონის სადგურებისა, ტრამვაის, სასანიტარო ქარანტინისა, ცეცხლის მქრობელი რაზმისა, საავადმყოფოებისა და აფთიაქებისა, სახალხო კავშირისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოო განყოფილებათა მომუშავენი.

მესამე ჯგუფი—რესპუბლიკის ყველა დანარჩენ წარმოებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურენი.

2. შრომის სასყიდელი გაიცემა თანახმად 1-ლი პუნქტისა და საცხოვრებელი მინიმუმის ღირებულების მიხედვით საქართველოს სხვა და სხვა ადგილას შემდეგნაირად:

ქალაქისა და ადგილის სახელწოდება	პირველი ჯგუფი		მეორე ჯგუფი		მესამე ჯგუფი	
	მინიმუმი	მაქსიმუმი	მინიმუმი	მაქსიმუმი	მინიმუმი	მაქსიმუმი
ა) ტფილისი (ორთაჭალით, და ტყიბული (მაღაროების ტერიტორია)	550.000	2.200.000	500.000	2.000,000	450 000	1.800.000
ბ) ბათომი, ფოთი და ბათომის ოლქი	495.000	1.980.000	450.000	1.800,000	405.000	1.620,000
გ) ქუთაისი, ბორჯომი, [illegible] ჩხუმისა, [illegible] მაზრები და სახერეთ [illegible]	440.000	1.760.000	400.000	1.600,000	360.000	1.440,000
დ) [illegible], გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ოზურგეთის, სიღნაღის, [illegible] მაზრები.	385.000	1 540.000	350 000	1.400,000	315.000	1.260.000
ე) ახალქალაქისა, ახალციხისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრები. . . .	330.000	1.320.000	300.000	1.200,000	270.000	1.080.000

შენიშვნა: 1. სატარიფო ქსელის 17 კატეგორია უნდა შეიმუშაოს და განსაზღვროს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებამ; ამასთანავე მუშათა ქსელისათვის დაცულ უნდა იქნეს შეფარდება 1: 2, ხოლო საერთო ქსელისათვის (1-სა და 17 კატეგორიებს შორის)—1.

შენიშვნა 2: დანაწილებას სატარიფო კატეგორიებად აწარმოებს პროფესიონალურ კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებანი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების მიერ გამოცემულ ცალკე წარმოებათა სატარიფო კრებულებისა, დებულებათა და ინსტრუქციების თანახმად.

შენიშვნა 3: სატარიფო მინიმუმისა და მაქსიმუმის შეცვლა საქართველოს რომელიმე ცალკე ადგილისათვის შეუძლიან საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროს შეთანხმებით.

3. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას, სახელმწიფო-სატარიფო კომისიასთან ერთად დაევალება ყოველ სამ თვეში ერთხელ დააწესოს საცხოვრებელი მინიმუმის ღირებულება შემჩნეულ ცვლილებათა მიხედვით მოახდინოს სატარიფო განაკვეთის გადასინჯვა კატეგორიებათ.

4. სამუშაო ხელფასი გაიცემა შემდეგნაირად: სურსათად 40 პროც. ნივთიერ კმაყოფად—10 პროც. ბინისათვის 5 პროც. გათბობა განათებისათვის—10 პროც. და ფულის ნიშნებით 35 პროც.

შენიშვნა; საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას სახელმწიფო-სატარიფო კომისიასთან ერთად უფლება ეძლევა შესცვალოს ხოლმე შრომის სასყიდლის აღნიშნული შეფარდება ნატურით და ფულით გაცემისა, როგორც ცალკე კატეგორიებისა, ისე მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებისათვის, ხოლო ისე რომ სამუშაო ხელფასის საერთო ჯამი არ იქნეს შემცირებული.

5. საკონცესიო, საიჯარო და კერძო წარმოებებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შრომა განრიგებულ უნდა იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულობის საფუძველზე, რომელსაც დასდებს სათანადო პროფესიონალური კავშირი წარმოების, დაწესებულების და ორგანიზაციის მეპატრონესთან ან ადმინისტრაციასთან.

კოლექტიური ხელშეკრულობის დადება სწარმოებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების ხელმძღვანელობით, რესპუბლიკაში არსებულ სააზისო კანონდებულებათა თანახმად.

6. ამა დადგენილების გამოცემისათანავე უქმდება ყოველგვარი სპეციალური (სპეციალისტებისათვის განაკვეთი, რომელიც შემოღებულია საქართველოს სოც საბჭ რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ ივლისის 2 დადგენილებისამებრ.

7. აკრძალულია ყოველგვარი შეთავსება ორი ან მეტი თანამდებობისა და აგრეთვე ზედმეტი მუშაობა, რომელიც პრაქტიკად იყო მიღებული საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგების განყოფილების [illegible] დადგენილებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების პირობების გამო ზედმეტი მუშაობის მოსპობა შეუძლებელია (მაგ. წყალსადენზე, ელექტრონის სადგურზე და სხვ.), პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას უფლება ეძლევა ცირკულიარულად აცნობოს სათანადო საწარმოო დაწესებულების ასეთი მუშაობის ნორმა და წესი.

8. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებას უფლება ეძლევა გამოსცეს დადგენილებანი და შეიმუშაოს ინსტრუქცია ამა დეკრეტის განვითარებისა და აღსრულებისათვის.

9. დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ხელისუფლების არც ერთ ორგანოს უფლება არა აქვს გამოსცეს დადგენილება სამუშაო ხელფასის რაოდენობის მოწესრიგების შესახებ, უკეთუ იგი ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს.

10 ამა დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში.

შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, და მათ ადგილობრივ ორგანოებს დაევალება მეთვალყურეობა ამა დეკრეტის აღსრულებისათვის.

11. მუშათა და გლეხთა ინსპექცია თვალყურს ადევნებს ამა დეკრეტის შესრულებას და იმ შემთხვევაში, თუ იგი დარღვეული იქნება,—დაადებს აღკრძალვას ჯამაგირის გაცემას, ხოლო დამნაშავეთ პასუხისგებაში მისცემს.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის 1922 წლის იანვრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შრომის განრიგებისა და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების გამგე **ჯუღელი.**

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წლ. იანვრის 3.
თბილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო განყოფილებების კონფერენცია

10 იანვრისთვის მოწვეულია სოციალურ უზრუნველყოფის სამაზრო კონფერენცია. ყრილობის დღიურ წეს-რიგში შედიან შემდეგი საკითხები: 1 მოხსენება სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3 სოციალურ უზრუნველყოფის საზოგადო პოლიტიკა ახლობელ მომავალში, 4) მუშათა დაზღვევა, 5) ომის ინვალიდთა და წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა, 6) უზრუნველყოფა დანარჩენ ინვალიდებისა და საზოგადოთ გაჭირვებულებისა (პენსია ერთდროული შემწეობა, ინვალიდთა სახლები, მათი შრომის გამოყენება) 7) საორგანიზაციო საკითხი, 8 მიმდინარე საკითხები.

კონფერენციაზე დაბარებულნი არიან 15 სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელნი და მოწვეულნი არიან აგრეთვე სახალხო ჯანმთელობის, შრომის და სასურსათო კომისარიატების, პროფკავშირთა საბჭოს, შრომის დაცვის განყოფილების და მუშათა დამზღვევ კასსის წარმომადგენელნი. კონფერენცია გაიხსნება 10 იანვარს, დილის 10 საათზე სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის ბინაზე (მადათოვის ქუჩა, 3).

სასურსათო სახალხო კომისარიატისაგან

აბრეშუმის ნაწარმოებზე მონოპოლიის მოხსნის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, სახალხო სასურსათო კომისარიატი აცხადებს საყოველთაოთ, რომ ს. ს. ს. რ. რევ. კომ. დეკრეტი №_45 17 ივნისი 1921 წ. თარიღით, აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმეზე, ფრიზონზე, ფრიზონეტზე და ნართზე მონოპოლიის შესახებ, შეიძლება მოხსნილ იქმნას მხოლოდ ს. ს. ს. რ. რევკომის მიერ, და სანამ ეს არ მოხდება დეკრეტი რჩება ძალაში.

სახ. სასურსათო კომისარის მოადგილე: **ერქომაიშვილი.**

კოლეგიის წევრი, საორგ ცენტრის გამგე: **მელჩარსკი.**

საქმეთა მმართ. მოვალეობის დროებით აღმასრულებელი: **დიდიძე.**

სტუდენტთა კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისიისაგან

წინადადება ეძლევა ყველა პირთ და დაწესებულებებს, ვისაც აქვთ წაღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოფილი კავშირის გამგეობიდან ან სტუდენტთა სასადილოდან ქონება ფული და ინვენტარი სესხათ ან დროებით სახმართ, წარმოადგინონ წაღებული ქონება და თუ ეს შეუძლებელია, ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ორი დღის განმავლობაში შემოიტანონ წერილობითი განცხადება ამის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კულტურულ განმანათლებელ განყოფილება[illegible] სტუდ. კავშირის სარევიზიო კომისიასთან რუსთველის პროსპექტი № 24). აღნიშნულ ვადის შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშები და საბუთები არ იქნება ცნობილი კანონიერად. ამ განცხადების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული როგორც საზოგადო ქონების მიმთვისებლები.

სარევიზიო კომისია.

პროფესიული

დღეს, 10 იანვარს საღამოს 5 საათზე საქართველოს საბჭოების მუშაკთა პროფკავშირის ბინაზე—მუშათა სასახლე მე 4 ე სართული, ოთახი 65—შესდგება ამავე კავშირის ადგილობრივ კომიტეტების პასუხისმგებელ მდივანთა მორიგი სხდომა დასწრება ყველა ადგილკომიტეტების მდივანთათვის სავალდებულოა.

სხვა და სხვა

— საბუთები და დოკუმენტები ჯავაირ ხუტულაშვილის სახელზე მიცემული: ჯანმრთელობის კომისარიატიდან (კოლეგიის წევრი), საავადმყოფო კასიდან (პრეზიდიუმის წევრი), ვიზა საქრევკომში შესვლისა ფოტოგრაფიულ სურათით, დროებითი ბილეთი თბილისის საბჭოს წევრობის და ვიზა საქ. საგ. კომისიაში შესვლისა ფოტოგრაფიულ სურათით, ჩამოთვლილი საბუთები, როგორც დაკარგული, ჩაითვალოს გაუქმებულად.